ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ემზარ კვიციანი: „არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, ვაშაძე 7%-ზე მეტს ვერ აიღებდა“


გვ.2

„ირაკლი ოქრუაშვილმა ჩემს პოლიტიკურ ფსალმუნებზე ილოცოს, იქნებ სწორ გზას დაადგეს“

პარასკევი, 30 ნოემბერი, 2018 №284 (7829) ფასი: 60 თეთრი

# „საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს“


გვ.5

გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნებს არ ცნობს და ქუჩის აქციებს იწყებს



## გია ნოდია: „სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილისთვის კომფორტული პრეზიდენტი არ იქნება“


გვ.3

## ვახტანგ ძაბირაძე: „სალომე ზურაბიშვილი ეს 6 წელი თავისთვის იქნება“




გვ.4

## გიგა ბუკია: „სააკაშვილს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის უფლება არ აქვს“


გვ.3

„მოსახლეობას ყველა წამოწყების შესახებ დროულად უნდა ვაცნობოთ“

## ნანა დევდარიანი: „ნაციონალების ასარჩევია, ვინ ვის ჩაჰყვება საფლავში“


გვ.4

## ვახტანგ მაისაია: „ქერჩის სრუტეში რუსეთის ქმედება უკრაინაზე სამხედრო თავდასხმაა“


გვ.6

სამართალი გვ.7

### გორში სამშობიარო სახლი გაქურდეს



### თბილისში „SWATCH“-ის მაღაზია გაქურდეს — წაღებულია საათები და აქსესუარები



### აფეთქება მარნეულში — დაშავებულია ახალგაზრდა მამაკაცი



ISSN 1987-9385

5 სალომე ზურაბიშვილი: „ვიდრე რუსეთი ისე იქცევა, როგორც ახლა, არა მგონია, ჩვენ შევძლოთ პირდაპირ თანამშრომლობაზე გადასვლა“

6 მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან ფულის ხარჯვა შეამცირა — „წელს წინასაარჩევნო კონცერტები არ დაუფინანსებიათ“

3 სალომე ზურაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ბიუჯეტიდან მილიონ-მილიონ ლარს მიიღებენ

5 ირაკლი ლექვინაძე: „რკინიგზის პრივატიზაცია, შესაძლოა, კომპანიის ეფექტურობა გაზარდოს“

# ემზარ კვიციანი: „არჩევნები რომ არ გაყალბებულიყო, ვაშაძე 7%-ზე მეტს ვერ აიღებდა“

## „ირაკლი ოქრუაშვილმა ჩემს პოლიტიკურ ფსალმუნებზე ილოცოს, იქნებ სწორ გზას დაადგეს“

შორენა მარსაგიშვილი

ვინ მოაგებინა არჩევნები სალომე ზურაბიშვილს, რა მოხდება, თუ ნაციონალები დაუმორჩილებლობას გამოაცხადებენ, რა პრობლემებს ქმნის უსაფრთხოების სამსახური, წერს თუ არა პოლიტიკურ ფსალმუნებს? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი, დეპუტატი **ემზარ კვიციანი** ესაუბრება.

***– „ოცნების“ ზოგიერთი ლიდერის განცხადებამ, რომ მათ მოიგეს არჩევნები, თქვენი თანაპარტიელების გაღიზიანება გამოიწვია. კოტე ინაშვილი აღშფოთებულია იმის გამო, რომ პატრიოტთა ალიანსს არავინ ახსენებს. ექსპერტთა ნაწილის შეფასებით, „ოცნების“ კანდიდატის გამარჯვებაში დიდი წვლილი ალიანსმა შეიტანა. რატომ ხდება თქვენი იგნორირება?***

– „ოცნების“ ზოგიერთი ლიდერი თუ დაგვაიგნორებს, ამის გამო სულ არ ვინერვიულებთ. ის, რაც გავაკეთეთ, გავაკეთეთ იმიტომ, რომ ქვეყანას სჭირდებოდა ასე. როდესაც შენს დაძახილზე 100.000 ადამიანი გამოვა ქუჩაში, ეს არის დიდი დაფასება. ეს იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე რომელიმე დეპუტატის განცხადება.

იგნორი არ მადარდებს, მაგრამ რაღაცას მაინც ვიტყვი. ხომ ნახეთ, როგორი აქტივობა იყო საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში. ეს აქტივობა პატრიოტთა ალიანსისა და ჩვენი პატივისმცემელი ხალხის დამსახურებაა.

ასე რომ, არ ვართ ჩვენ იგნორირებული, მთავარია, ქართველმა ხალხმა არ დაგვაიგნოროს, დანარჩენს მოევლება.

***– 25 ნოემბერს გამართულ აქციაზე თქვენ რამდენიმე საინტერესო განცხადება გააკეთეთ.***

– დიახ, მართლა რამდენიმე საინტერესო და მნიშვნელოვანი განცხადება გავაკეთე.

***– გამოსვლაში ასეთი ფრაზა წარმოთქვით – დიდება უფალს! არა ნაცებს! ირაკლი ოქრუაშვილის თქმით, პოლიტიკური ფსალმუნების წერა დაიწყეთ. წინასწარ მოიფიქრეთ ეს ფრაზა?***

– წინასწარ როგორ მოვიფიქრე? შენ ხომ მაინც იცი, რომ ჩემს გამოსვლას ყოველთვის ასე ვასრულებ – დიდება უფალს. მაშინაც ასე მოვიქეცი და არა ნაცებს დავამატე. ეს იყო ემოციური განცხადება. ირაკლი ოქრუაშვილმა კი, როგორც ვატყობ, წმინდანად შემრაცხა.

***– წმინდანად არ შეურაცხიხართ, თქვა, პოლიტიკური ფსალმუნების წერა დაიწყოო.***

– მერე ეგაა წმინდანად შერაცხვა. ფსალმუნების დაწერის უფლება ყველას კი არ აქვს.

***– ამაზე ვერ შეგეკამათებით, თქვენ და ოქრუაშვილი ბევრად რელიგიურები ხართ და ერთმანეთში გაერკვევით.***

– ისე, რა მითხარი? როგორ თქვა, პოლიტიკური ფსალმუნიო? პოლიტიკურ წმინდანად შევურაცხივარ. ჰა-ჰა-ჰა!

***– ისე გემრიელად გაიცინეთ, შეურიგდებით კიდევაც.***

– შერიგებისა რა გითხრა, მაგრამ ვურჩევ, რომ ჩემს პოლიტიკურ ფსალმუნებზე ილოცოს, იქნება სწორ გზას დაადგეს.

***– 25 ნოემბრის აქციაზე თქვენ წინასწარი შედეგებიც გამოაცხადეთ და თქვით, ვაშაძის ხმები 7%-ს არ უნდა ასცდესო. „ოცნება“ კი იძახდა, კვიციანის პირს შაქარიო, მაგრამ 7%-ზე ბევრად მეტი აიღო ვაშაძემ.***

– ეს არჩევნები მართლა დემოკრატიულად რომ ჩატარებულიყო და დიდ გაყალბებას არ ჰქონოდა ადგილი, დამიჯერეთ, ნაციონალების კანდიდატი 7%-ზე მეტს ვერ აიღებდა.

***– იმის თქმა გინდათ, რომ ნაციონალებმა გააყალბეს არჩევნები?***

– დიახ. პირველ ტურსა და მეორე ტურს შორის ერთთვიანი შუალედი იყო. ამ ერთი თვის განმავლობაში „ოცნებამ“ ვერ მოასწრო გაწმენდა. ისინი ვერ გათავისუფლდნენ იმ ხალხისგან, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების სასარგებლოდ გააყალბებდნენ არჩევნებს.

მე ვამბობდი, „ოცნებამ“ თუ მოახერხა ცესკოსა და სუსის გაწმენდა, ვაშაძის ხმები 7%-ს არ ასცდება-მეთქი. გაყალბება რომ არ ყოფილიყო, ნაცები 7%-ს ვერ ასცდებოდნენ.



საჩხერეში არჩევნები არ გააყალბებინეს და აბა ნახეთ, რამდენი ხმა აიღო ვაშაძემ? 7%-საც კი ვერ მიაღწია.

***– საჩხერეში ასეთი შედეგი ივანიშვილის დამსახურებაა.***

– რა თქმა უნდა, მაგრამ მანდ კომისიებიც გაწმენდილი იყო. შედეგების გამოქვეყნება დასრულდა და ვნახეთ, რომ ვაშაძემ რუსთავი მოიგო. ეს ის შემთხვევაა, როცა ვერ ვიტყვი, რომ არჩევნები გაყალბდა.

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ პატრიოტთა ალიანსიდან ქვემო ქართლში ვიყავი მივლენილი. 6 თვე რუსთავში გავატარე. თამამად შემიძლია გითხრათ, რომ იქ მამუკა ჩიქოვანის სერიოზული ნამუშევარია. მე არ ვიცი მაგ კაცის ცოდვები, მაგრამ, ამ ქალაქს როცა ხელმძღვანელობდა, ბევრი რამე გააკეთა რუსთავისთვის და რუსთაველებისთვის. ხალხმა მისი ხათრით მისცა ვაშაძეს ხმა.

***– ვაშაძემ თელავიც მოიგო და იქ რა ხდება?***

– თელავზე ვერაფერს გეტყვით, გურჯაანელი რესპონდენტი გეყოლება ვინმე და იმას ჰკითხე.

***– გურჯაანელი რესპონდენტი თელავის შეფასებაში ობიექტური ვერ იქნება. შედეგით გამწარებულმა მირიან ყარაულაშვილმა სოციალურ ქსელში დაწერა, მგონი, ერეკლე მეფე მართლა გურჯაანელი იყო და თელავში ოფისი ჰქონდაო.***

– არ არის გამორიცხული, რომ ეგ მართლაც ეგრე იყოს, მაგრამ ჯობია, მაინც გურჯაანელს ჰკითხოთ. იტყვიან რომ აგე, თელაველებს რომ ვეჩხუბებოდით, რა მართლები ვყოფილვართო.

***– თქვენს განცხადებებში ხშირად საუბრობთ იმაზე, რომ ნაციონალებს სუსი მფარველობს. რამე კონკრეტული ფაქტები გაქვთ, ასე ხშირად რომ იმეორებთ ამას?***

– მეტი ფაქტი რა გინდა – გეუბნები, სუსი არის ამ ქვეყანაში ყველა უბედურების სათავე. რამდენი ხანია ვეხვეწები ხელისუფლებას, რომ გაწმინდოს ეს ორგანო. უამრავი ნაციონალია შიგ ჩარჩენილი. ისინი, ბუნებრივია, ყოფილ ხელისუფლებაზე იმუშავებენ.

ამ ორგანოს წარმომადგენლები ხშირად ასრულებენ სხვადასხვა დაკვეთას. თუ არეულობა მოხდა რამე, მათი მოწყობილია. თუ ტერიტორიები დაიკარგა, სუსის ბრალია.

***– ტერიტორიების დაკარგვა რანაირად არის სუსის ბრალი, როცა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირება მოხდა, სუსის სუსიც კი არ იყო.***

– სუსის სუსი როგორ არ იყო. გინდა მითხრა, რომ საქართველოს უშიშროების სამსახური არ ჰყავდა? მე როცა სუსს ვამბობ, კონკრეტულად მარტო სუსს კი არ ვგულისხმობ, არამედ უშიშროების სამსახურს.

უშიშროებისა და უსაფრთხოების სამსახურები აგებენ ქვეყნის უსაფრთხოებაზე პასუხს. როგორ შეიძლება, მოღალატეები ასე თავისუფლად დადიოდნენ ქუჩაში. ვერაფრით ამიხსნია, რატომ თავხედობს ასე სააკაშვილი. მისი ბოლო გამოსვლები საერთოდ თავხედობის მწვერვალი იყო.

**პირველ ტურსა და მეორე ტურს შორის ერთთვიანი შუალედი იყო. ამ ერთი თვის განმავლობაში „ოცნებამ“ ვერ მოასწრო გაწმენდა. ისინი ვერ გათავისუფლდნენ იმ ხალხისგან, რომლებიც ყოფილი ხელისუფლების სასარგებლოდ გააყალბებდნენ არჩევნებს.**

***– რომელ განცხადებაზე საუბრობთ, დაუმორჩილებლობა რომ გამოაცხადა?***

– მთელი ყურადღება დაუმორჩილებლობისკენ უნდა იყოს მიმართული. 2006 წელს მეც ტელეფონით ჩავერთე ტელევიზიას და ტელევიზორში გამოვაცხადე დაუმორჩილებლობა.

დაუმორჩილებლობა მე იმიტომ გამოვაცხადე, რომ ვიცოდი, სააკაშვილის ხელისუფლება კოდორის ხეობის ჩაბარებას აპირებდა. ფაქტობრივად, ღალატს აღვუდექი წინ. ამის გამო კი, იცით, რა გვიქნეს მე და ჩემს ოჯახს. მთელი სანათესავო ამიწიოკეს. სააკაშვილმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა და სუსი ამას მშვიდად უყურებს.

***– იქნებ არ უყურებს მშვიდად?***

– მშვიდად რომ არ უყურებდეს, მისი მომხრეების რაღაც ნაწილი დაკავებული ეყოლებოდა უკვე. ამათ კი დაკითხვაზეც არავინ წაუყვანია.

***– სააკაშვილის განცხადების გამო სხვები რატომ უნდა დააკავონ?***

– ირაკლი ბათიაშვილი რის გამო გააქანეს ციხეში? კაცმა დამირეკა და ამის გამო დაიჭირეს.

***– მაშინ ხუმრობდნენ, ბათიაშვილი იმიტომ დაიჭირეს, კვიციანს კანტზე ელაპარაკებოდაო.***

– ირაკლი ამბობდა, სისხლი არ დაიღვაროსო და რა მითხარით, ვისზე გელაპარაკებოდაო? სამარცხვინო იყო მისი დაჭერა.

***– მაშინ თქვენ ბევრი გგმობდათ. ერთ-ერთ მათგანზე თქვა ბათიაშვილმა, რომელი ემანუელ კანტი ეგააო.***

– ეგეც თქვა, მაგრამ მაგის გამო კაცის ციხეში გაქანება ვინ თქვა. ახლა სააკაშვილი დაუმორჩილებლობაზე საუბრობს და ვითომ არაფერი. დაიჭირონ სააკაშვილის თანამოაზრეებიც. იგივე მოსამართლეები და პროკურორები არ არიან, რომლებმაც ჩემი დაიკო ნორა და ირაკლი ბათიაშვილი ციხეში გაუშვეს?



ისიც მითხრან, ნიკა გვარამიას რატომ არ სვამენ ციხეში. მაგან რაც გააკეთა, ის რომ სხვას გაებედა, არ აპატიებდნენ.

***– გვარამია რატომ უნდა იყოს ციხეში?***

– ბევრი რამის გამო, მაგრამ მე მის მიერ მთვარისა ნავერიანის ცემის ფაქტი მაქვს მხედველობაში. ქალს სცემა და ვითომ არაფერი. აი, ეს არის თქვენი სპეცსამსახურები.

***– თუ ასეთ კატასტროფებს ჩადიან ეს სპეცსამსახურები, რატომ არაფერი იღონა ივანიშვილმა?***

– ბიძინამ რა უნდა გააკეთოს? მაგას არანაირად არ შეუძლია ამ სამსახურებთან დაპირისპირება.

***– რატომ არ შეუძლია? ქვეყნის მთავარი მმართველი ეგ არის.***

– მმართველი ჰქვია, მაგრამ გასაქანი არა აქვს. ამ ქვეყანაში ხომ ცხოვრობ და გეცოდინება, რომ ყველა სამსახურში სუსის ფილტრი დგას.

***– სუსის ფილტრი რას ნიშნავს?***

– მათი ნებართვის გარეშე ადამიანს არავინ დაასაქმებს. ყველა სამსახურში ასეა.

***– ჩვენს სამსახურში არ არის ასე.***

– მე უფრო სახელმწიფო სტრუქტურები მაქვს მხედველობაში. ცესკოში მაგათი ნებართვის გარეშე ადამიანი ვერ მოხვდება.

ავღანეთში სამშვიდობო მისიაში რომ მიდიან ჩვენი სამხედროები, იქ, თქვენი აზრით, სუსს არ უყენია ფილტრი? როგორი ფილტრი ჰქონიათ? როგორი და ცუდი.

***– რატომ აქვთ ცუდი ფილტრი?***

– რატომ? ავღანეთში ვაშაძემ მოიგო არჩევნები.

***– სუსი თუ ერევა ამ პროცესში, სალომეს მოაგებინებდნენ.***

– არა. ნაციონალებიდან დარჩენილი ხალხით არის ეგ სტრუქტურა სავსე. მაგათ ფილტრში მხოლოდ ის ხალხი გადის, ვინც ნაციონალებს თანაუგრძნობს.

იცით, რამდენ ადამიანს უნდა ავღანეთში წასვლა? ვინც სამხედრო სამსახურშია, ქალი იქნება თუ კაცი, ყველა იქ წასვლაზე ოცნებობს. მაგრამ იქ მხოლოდ ნაციონალებს უშვებენ. ამას აკეთებენ სუსის ნაციონალი თანამშრომლები.

***– ნამეტანი კარგ ადგილზე უშვებენ თურმე ნაციონალები ნაციონალებს. ავღანეთში გაგზავნა კარგია?***

– სახარბიელო არ არის, მაგრამ, იცი, რამდენი ადამიანი ოცნებობს იქ წასვლაზე? იქ შედარებით მაღალ ხელფასს იღებენ და ამიტომ მიდიან ამ მისიაში. ძალიან ბევრი ადამიანი მთხოვს, რომ დავეხმარო იქ წასვლაში. უამრავი ადამიანი მაკითხავს, ყველას უნდა, ავღანეთში იმსახუროს.

***– თქვენ რატომ გაკითხავენ?***

– მე ყოფილი სამხედრო ვარ და შუამდგომლობას მთხოვენ. კარგი ცხოვრება რომ არ არის საქართველოში, ამიტომ მიდიან იქ, საკუთარ სიცოცხლეს წირავენ, რომ დამატებით ერთი-ორი კაპიკი აიღონ.

***– სააკაშვილი დაუმორჩილებლობით იმუქრება. ქვეყანაში მოვლენები როგორ განვითარდება?***

– მინდა, ყველაფერი კარგად იყოს. ცხოვრებაში ვერასდროს წარმოვიდგენდი, რომ სალომე ზურაბიშვილისთვის ხმის მისაცემად თბილისიდან წალკაში წავიდოდი. წავედი წალკაში, მაგრამ სალომესთვის არ მიმიცია ხმა.

***– აბა, ვის მიეცით?***

– მე ხმა მივეცი იდეას – არა ნაცებს. ახლა შეხედეთ, რისი დაფიქსირება მინდა. მინდა, ისეთი პრეზიდენტი იყოს სალომე, რომ, მეორე ვადით თუ იყარა კენჭი, დიდი სიხარულით წავიდე წალკაში მისთვის ხმის მისაცემად.

***– მომდევნო პრეზიდენტს ხალხი აღარ აირჩევს.***

– მაშინ მინდა, რომ დიდი სიხარულით ვიყო მისი მხარდამჭერი.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# გიგა ბუკია: „სააკაშვილს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის უფლება არ აქვს“

## „მოსახლეობას ყველა წამოწყების შესახებ დროულად უნდა ვაცნობოთ“

მარიამ მჭედლიშვილი

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებსა და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა პარლამენტის უმრავლესობის „კონსერვატორების“ ფრაქციის თავმჯდომარე **გიგა ბუკიას.**

***– ნაცმოძრაობის ფაქტობრივი ლიდერი, ექსპრეზიდენტი, არ ცნობს არჩევნებში სალომე ზურაბიშვილის გამარჯვებას. ის დაუმორჩილებლობასა და ქუჩის საპროტესტო აქციებს აანონსებს.***

– მიხეილ სააკაშვილი, მართალია, ნაციონალური მოძრაობის ლიდერად ითვლება, მაგრამ ის არ არის საქართველოს მოქალაქე. ყოფილ პრეზიდენტს არანაირი უფლება არა აქვს, ჩაერიოს არჩევნებში. სააკაშვილს საქართველოს პოლიტიკურ პროცესებში ჩარევის უფლება არ აქვს. მას არანაირი დესტაბილიზაცია არ გამოუვა. ამ მუქარით მან კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ არჩევნები მისთვის მიზანი არ არის და მას არჩევნები საერთოდ არ აინტერესებს.

***– გაერთიანებული ოპოზიცია და გრიგოლ ვაშაძე რისთვის ირჯებოდნენ?***

– პირადად სააკაშვილისთვის არჩევნებიცა და სხვა მოვლენებიც არის დესტაბილიზაციის მოწყობის საბაბი. არეულობა იმისთვის სჭირდება, რომ ისარგებლოს მომენტით და ხელში ჩაიგდოს ძალაუფლება. ამიტომ მიიღო ამ არჩევნებმა ასეთი ფორმა. არჩევნები გადაიქცა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლად.

***– ცემა-ტყეპა მეორე ტურში პირველ ტურთან შედარებით მეტი იყო. ზოგადად, დამკვირვებლების შეფასებით, მეორე ტური უფრო დაძაბული გამოდგა.***

– ცემა-ტყეპის მხოლოდ ცალკეული იშვიათი შემთხვევები დაფიქსირდა. შსს ყველა ინციდენტს იძიებს. მთავარი ის არის, რომ ეს არ ყოფილა წახალისებული ხელისუფლების მიერ. ზოგიერთი ჩხუბი ყოფით ნიადაგზე მოხდა და ის არჩევნებს უსამართლოდ მიაწერეს. სამხრეთელი ხალხი ვართ, სიფიცხე გვახასიათებს. ჩხუბი ქორწილებშიც ხდება, დაბადების დღეებზეც და ხანდახან – საარჩევნო უბანთანაც.

სამარცხვინო და უზნეო იყო ნაცმოძრაობის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანია. ნაციონალები ყველაფერს კადრულობდნენ და ყველანაირად ლაფში სვრიდნენ „ქართული ოცნების“ მიერ მხარდაჭერილ კანდიდატს. ზურაბიშვილი და მისი მომხრეები ამას ცივილიზებულ დამოკიდებულებას უპირისპირებდნენ. იმედი მაქვს, არჩევნები მომავალში ზეიმი იქნება და ასეთ სახეს აღარ მიიღებს.

***– აღნიშნეთ, რომ სააკაშვილს დესტაბილიზაცია არ გამოუვა. გამორიცხულია, მან შეწყვიტოს პოლიტიკაში ჩარევა.***

– სააკაშვილს საქართველოში ჰყავს მომხრეები, მაგრამ ის, ჯერ ერთი, არ არის საქართველოს მოქალაქე. მეორეც, სასამართლომ მას გარკვეული დანაშაულების გამო მსჯავრი დაადო. მისი სხვა საქმეების გამოძიება გრძელდება. რაც უნდა აგრესიული და ხმამაღალი განცხადებები აკეთოს უცხოეთიდან, საბოლოოდ პირში ჩალაგამოვლებული დარჩება.



ქვეყანაში არეულობა არავის გამოუვა. ამის მცდელობაზე სამართალდამცავ ორგანოებს სათანადო და მკაცრი პასუხი ექნებათ. ვფიქრობ, რომ გაერთიანებული ოპოზიცია, რომელიც გრიგოლ ვაშაძის კანდიდატურის გარშემო შეიკრა, სააკაშვილს გაემიჯნება. ამ პოლიტიკოსებს, ალბათ, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა უნდათ და, თუ ისინი სააკაშვილის ჭკუაზე ივლიან, ამას ვერ შეძლებენ.

***– 28 ნოემბერს ჟურნალისტები რიგით ამომრჩევლებს ვესაუბრეთ. ისინიც კი, ვინც ხმა სალომე ზურაბიშვილს მისცა, ძალიან უკმაყოფილონი არიან „ქართული ოცნებით“. ფაქტობრივად, მათი მხრიდან ეს იყო ერთჯერადი მხარდაჭერა. როგორ მოაბრუნებს ხელისუფლება თავისკენ ამ ხალხს?***

– ხშირად ხალხი სამართლიან გულისწყრომას გამოხატავს ხელისუფლების მიმართ. პირადად მეც ვგრძნობ პასუხისმგებლობას იმის გამო, რომ საზოგადოებასთან არასაკმარისი კომუნიკაცია გვქონდა. დარწმუნებული ვარ, რომ მოსახლეობას ყველა წამოწყების შესახებ დროულად უნდა ვაცნობოთ.

***– ხალხი არაინფორმირებულია?***

– ზოგიერთი გადაწყვეტილება, რომელსაც ხალხისათვის სიკეთე მოაქვს, უცნობი რჩება. საზოგადოებას უნდა ვხვდებოდეთ და ვატყობინებდეთ, რა კეთდება. საჭიროა დროული რეაგირება მოსახლეობის მოთხოვნებზე, საჭიროებებსა და პრობლემებზე.

არჩევნების პირველი ტურის დროს ხალხმა ხელისუფლებას გზავნილით მიმართა. ადამიანებმა გამოიყენეს თავიანთი არჩევანის უფლება იმისათვის, რომ ხელისუფლებისადმი უკმაყოფილება გამოეხატათ.

მინდა, ეს გამარჯვება საზოგადოებას მივულოცო. მეორე ტურის დროს იმავე ხალხმა ხელისუფლებას კიდევ მისცა შანსი. ბატონმა ბიძინამ საზოგადოებას უთხრა, რომ დაიწყება დაპირებების შესრულება. რეფორმები ბოლომდე იქნება მიყვანილი. ჩვენ, კონსერვატორები, მზად ვართ, ამაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ.

# გია ნოდია: „სალომე ზურაბიშვილი ივანიშვილისთვის კომფორტული პრეზიდენტი არ იქნება“

იაგო ნაცვლიშვილი

გუშინ საქართველოში საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური გაიმართა. ცესკოს წინასწარი მონაცემებით, სალომე ზურაბიშვილმა არჩევნები მოიგო. თუმცა, გაერთიანებული ოპოზიცია შედეგებს არ ცნობს და კვირას მშვიდობიან მანიფესტაციას აანონსებს. ოპოზიცია ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებსაც ითხოვს.

„ახალ თაობასთან“ არჩევნების შედეგებს პოლიტოლოგი **გია ნოდია** აანონსებს.



***– ბატონო გია, შეაფასეთ არჩევნები. რა თქვა ამომრჩეველმა?***

– ამომრჩეველმა იმდენად „ქართულ ოცნებას“ არ დაუჭირა მხარი, რამდენადაც ნაციონალურ მოძრაობას უთხრა უარი. ტაქტიკურად, მთელი კამპანია ნაციონალური მოძრაობის წინააღმდეგ იყო აწყობილი. ამ კამპანიამ რაღაც დონეზე იმუშავა, მაგრამ, ამავე დროს, იმუშავა იმ საარჩევნო მობილიზაციამ, რომელიც დიდწილად აგებული იყო ზეწოლასა და მოქრთამვაზე, რომლის შედეგადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 10%-ით გაიზარდა.

ასე რომ, გარკვეულწილად ამომრჩეველმა რეაქცია გააკეთა ამ ზეწოლისა და მოქრთამვის კამპანიაზე და, ამავე დროს, ნაციონალური მოძრაობის გზავნილებზე.

***– ეს არის თუ არა იმის საფუძველი, რომ რაღაც რევოლუციური სცენარი განვითარდეს ქვეყანაში, ან არჩევნების შედეგების არაღიარება და ა.შ.?***

– არა მგონია. რევოლუციური სცენარი ვერ დავინახე. როდესაც მიშა სააკაშვილმა მოუწოდა ასეთი სცენარისკენ, მისი კოალიციის საპრეზიდენტო კანდიდატმა საკმაოდ მკაფიო დისტანცია დაიკავა ამისგან. არ ჩანს არანაირი რევოლუციური ენთუზიაზმი ჯერჯერობით გაერთიანებული ოპოზიციის მომხრეთა შორის. გასაგებია, რომ შესაძლოა საპროტესტო აქციები იყოს. ეს აბსოლუტურად ბუნებრივი და ლოგიკურია ასეთი არჩევნების შემდეგ. რევოლუციურ სცენარზე ორიენტაციას თუ აიღებს ოპოზიცია, ამის ნიშნები ამ ეტაპზე არ ჩანს.

***– სააკაშვილის განცხადება მასობრივ დაუმორჩილებლობაზე რამდენად ადეკვატური იყო ამ ვითარებაში?***

– ჩემი აზრით, არ იყო ადეკვატური. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მას გრიგოლ ვაშაძემ შეახსენა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები ოპოზიციამ უნდა მიილოს და ასე ერთპიროვნულად სააკაშვილი ასეთ გადაწყვეტილებებს ვერ მიიღებს. მოწოდება შეიძლებოდა, მაგრამ ჯერ ოპოზიციური ლიდერებისთვის უნდა მოეწოდებინა და არა მთლიანად ხალხისთვის. ამ მხრივ არ იყო ადეკვატური.

გარდა ამისა, მან არ იცის საქართველოში არსებული რეალობა. 5 წელია, ის საქართველოში არ ყოფილა და, როგორც ჩანს, ის ქართულ რეალობას მოსწყდა.

***– ალბათ დამეთანხმებით, რომ საჭიროა გარკვეული საფუძვლების არსებობა, მაგალითად, ეგზიტპოლების შედეგებით გამყარება.***

– რა თქმა უნდა. ჩემთვისაც, როგორც უკვე ვთქვი, ეს არჩევნები დემოკრატიული სტანდარტებისგან შორს იყო, მაგრამ უშუალოდ არჩევნების დღის შედეგი – არა. იმ ხალხის უმრავლესობამ, ვინც მივიდა არჩევნებზე, ნამდვილად მისცა ხმა სალომე ზურაბიშვილს.

ასე რომ, თვითონ არჩევნების დღის თვალსაზრისით არ არის იმის საფუძველი, რომ არჩევნების შედეგები კითხვის ნიშნის ქვეშ დავაყენოთ. მაგრამ, თუ მთლიანად საარჩევნო პროცესს განვიხილავთ, ეს იყო აშკარა უკანდახევა თუნდაც ბოლო წლების არჩევნებთან შედარებით.

***– თუ ელოდებით, რომ „ქართული ოცნების“ მოქმედებები შეიცვლება და თუნდაც პირველი ტურიდან გამომდინარე თავიანთ გეგმებს გადახედავენ?***

არ ვიცი. მე არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილს შეუძლია, პრინციპულად რაღაცა შეცვალოს. არა მგონია, მას ამისთვის რაღაც იდეები ჰქონდეს. მას შეუძლია, რაღაც პოპულისტური ნაბიჯები გადადგას, რისგანაც აქამდე თავს იკავებდა, ან შეიძლება, უფრო რეპრესიული ნაბიჯები გადადგას, რისგანაც ასევე თავს იკავებდა. მაგრამ, იმ თვალსაზრისით, რომ რეალურად უკეთესი პოლიტიკა აწარმოოს, ცოტა ძნელად წარმომიდგენია, იმიტომ, რომ თუ ეს შეეძლო, მაშინ აქამდე 6 წლის განმავლობაში რას აკეთებდა?!

***– საკადრო პოლიტიკაში ხომ არ ელოდებით ცვლილებებს?***

– ორჯერ შეცვალა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრი. ერთ-ერთი ახლახან შეცვალა, ასე რომ, არ ველოდები. შესაძლოა, კიდევ შეცვალოს ვიღაცა, მუდმივად იცვლება ვიღაცა ხელისუფლებაში, მაგრამ ეს თავისთავად საკადრო პოლიტიკის პრინციპებს არ შეცვლის.

არა მგონია, ბიძინა ივანიშვილმა გადაწყვიტოს, რომ სხვანაირად უნდა მოიქცეს. პირიქით, შეიძლება ჩათვალოს, რომ კიდევ უფრო უნდა გააძლიეროს პირადი ერთგულება საკუთარი თავის მიმართ.

***– თუმცა, თავად სხვა განცხადება გააკეთა და თქვა, რომ აქცენტი პროფესიონალიზმზე გაკეთდება და არა ერთგულებაზე.***

– ეს გასაგებია, იმიტომ, რომ ასე იყო საჭირო, მაგრამ ვერ ვხედავ, რატომ გააკეთებს ამას რეალურად.

***– ანუ ეს განცხადება მისი მხრიდან წინასაარჩევნო ხრიკი იყო?***

– წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსების განცხადებები ყოველთვის გამიზნულია იმაზე, რომ ამომრჩევლის გული მოიგონ. რასაც ეუბნებიან მრჩევლები, რომ ასეთი განცხადებები იქნება პოპულარული, ისეთ განცხადებებს აკეთებენ პოლიტიკოსები. ეს არ უნდა გაგვიკვირდეს.

***– მედიაში დროდადრო ვრცელდება ინფორმაცია, რომ შესაძლოა ივანიშვილი თავად დაბრუნდეს პრემიერის პოსტზე. ეს თქვენ რეალურად არ გეჩვენებათ?***

– ჯერჯერობით რეალურად არ მიმაჩნია, იმიტომ, რომ პრაქტიკულად ივანიშვილმა მოიგო საპრეზიდენტო არჩევნები. შესაბამისად, ის არ თვლის, რომ საჭიროა კიდევ შემდეგი ნაბიჯების გადადგმა და არ უნდა მას ამის გაკეთება. თუ კიდევ უფრო გაუმძაფრდება მას კრიზისის განცდა, შესაძლოა ასეთი უკიდურესი ნაბიჯი გადადგას, მაგრამ...

პრინციპში, არც ამას გამოვრიცხავ. ძალიან გასაკვირი იყო ის, რომ პარტიის ლიდერად დაბრუნდა. ეს სრულიად მოულოდნელი იყო. ამის შემდეგ გამორიცხული არაფერი არ არის, მაგრამ, ჩემი აზრით, ის მაქსიმალურად შეეცდება, ეს არ გააკეთოს.

***– ფიქრობთ, რომ სალომე ზურაბიშვილი იქნება „ქართული ოცნების“ მორჩილი თუ, მისი სიხისტიდან გამომდინარე, უნდა ველოდოთ, რომ რაღაცა დისტანცია დაიკავოს მისგან?***

– ესეც სავსებით შესაძლებელია. ის არ ჩანს ისეთი ადამიანი, რომელიც მარტივად მართვადია. არა მგონია, რომ ის „ქართული ოცნებისთვის“ სრულად კომფორტული პრეზიდენტი აღმოჩნდეს, მაგრამ, კონკრეტულად რა საკითხებზე შეიძლება განსხვავებული აზრი გამოთქვას, მაგის თქმა ძალიან რთულია.

***– მარგველაშვილის გამოცდილების შემდეგ ამ თვალსაზრისით ივანიშვილმა ხომ არ გარისკა, როცა პარტიამ სალომე ზურაბიშვილს დაუჭირა მხარი და ჩაერთო საარჩევნო პროცესში?***

– კი. რა თქმა უნდა, გარისკა. საერთოდ გაუგებარია, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება და ამაზე ვერავინ პასუხს ვერ სცემს, მაგრამ ფაქტია, რომ მიიღო და ამაში რისკი იყო.

## სალომე ზურაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ ბიუჯეტიდან მილიონ-მილიონ ლარს მიიღებენ



საქართველოს არჩეული პრეზიდენტი, სალომე ზურაბიშვილი, ნაციონალური მოძრაობა და „ევროპული საქართველო“ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონ-მილიონ ლარს მიიღებენ.

აღნიშნული დაფინანსება „საარჩევნო კოდექსის“ 56-ე მუხლით არის გათვალისწინებული, რომლის მიხედვითაც, მილიონ ლარს იღებს ის საარჩევნო სუბიექტი, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში 10%-იან ბარიერს გადალახავს.

საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის შედეგებით, სალომე ზურაბიშვილმა, რომელიც დამოუკიდებელი კანდიდატის სტატუსით იყრიდა კენჭს, ხმების 38,64%, ნაციონალური მოძრაობის სახელით რეგისტრირებულმა გრიგოლ ვაშაძემ 37,74 %, ხოლო „ევროპული საქართველოს“ კანდიდატმა დავით ბაქრაძემ 10,97% მიიღო.

# ნანა დევდარიანი: „ნაციონალების ასარჩევია, ვინ ვის ჩაჰყვება საფლავში“

ნონა ცაბაძე



„ახალი თაობის“ კითხვებს ყოფილი სახალხო დამცველი, ცესკოს ყოფილი თავმჯდომარე **ნანა დევდარიანი** პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, დღეს მთავარი პოლიტიკური თემა საპრეზიდენტო არჩევნებია. ოპოზიცია მოსყიდვასა და გაყალბებაზე საუბრობს. რას იტყვით თქვენ? როგორია გარეშე თვალით დანახული სიტუაცია?***

– ყველგან ექსცესების წამომწყები ან ნაციონალები იყვნენ, ან მათი განაყოფი. რამდენიც არ უნდა ილაპარაკონ გაყალბებაზე, დღეს 2003 წელი ხომ აღარ არის, როცა ტოტალური ტყუილების მანქანით აბოლებდნენ ყველას. ამას ვინ დაიჯერებს ახლა.

***– არ ყოფილა დარღვევები?***

– არ არსებობს ისეთი ქვეყანა, სადაც არჩევნებზე არავითარი დარღვევა არ მოხდეს. არაფერი განსაკუთრებული არ ყოფილა. უბრალოდ, ხალხმა, ერთი მხრივ, უკანასკნელი გაფრთხილება მისცა „ოცნებას“ პირველი ტურის სახით და თუ ამას ამ ეიფორიაში გადააგორებენ და დაივიწყებენ, მაშინ ეს იქნება 2020 წელს მაგათი სრული მარცხი.

მეორე მხრივ, ხალხმა აჩვენა ნაციონალებს მეორე ტურში თავისი ძალა. მაგათ მოტივირებული ამომრჩეველი ჰყავთ, რომელიც სექტასავით არის, ყოველთვის მიდის და ნაციონალებს აძლევს ხმას, მიუხედავად ყველაფრისა, ხოლო მეორე მხარეს, ვისაც უკიდურესად არ მოსწონს ის ყველაფერი, რაც დღეს პოლიტიკურ სპექტრში ჩამოყალიბდა, იმათი აქცია და რეაქცია იყო 28 ნოემბრის შედეგი.

***– ბიძინა ივანიშვილის დაპირებები რამდენად იყო ამომრჩევლის მოსყიდვა?***

– ბიძინა ივანიშვილის ბრალი ის კი არ არის, რომ ახლა ვინმე მოისყიდა, ბრალი არის ის, რომ დაპირებები, რომლებიც იყო 2012 წელს, არ შესრულდა.

ერთ-ერთი მთავარი დაპირება იყო ამ ბანკის მოვალეების საკითხის მოგვარება. 2012 წლის პარლამენტმა პირველი მოსმენით მიიღო რეგულაციები და მერე საქმე გაჩერდა. განცხადება გაკეთდა, ბანკებს ვერ მოვიმდურებთო. აჰა, ბატონო, ბანკებს თუ ვერ მოიმდურებ, ამომრჩეველს მოიმდურებ.

საქართველოსნაირ ქვეყანაში კი არა, ისეთი ლიბერალური ეკონომიკის მქონე ქვეყანაში, როგორიც შეერთებული შტატებია, ბანკებს მკაცრი რეგულაციები დაუწესეს, კრიზისი რომ იყო. ამაში არაფერი გაუგებარი და მიუღებელი არ არის. კიდევ უამრავი სხვა საკითხია.

***– რას გულისხმობთ?***

– სიტყვა კოჰაბიტაცია ყელში ამოვიდა მართლაც, მაგრამ, სადაც გაიხედავთ სხვადასხვა სამსახურში, განსაკუთრებით საშუალო რგოლებში, გავსებული არიან ნაციონალებით. აქ ხომ ლაპარაკი იმაზე არ არის, რომ ამომრჩეველს გული დასწყდა, მე არ დამასაქმესო. ამომრჩეველი გაგიჟებულია იმიტომ, რომ მიდის საკითხის მოსაწესრიგებლად და ხვდება იქ ის ადამიანი, რომელიც პრობლემებს უქმნიდა.

იცით, სადამდე გათავხედდნენ? მოქალაქე რომ დარეკავს დასუფთავების სამსახურში, ჩვენი ქუჩა ასეთი ბინძური არასოდეს ყოფილა და რატომ არ ალაგებთო და იქიდან ცინიკურად პასუხობენ – ცოცხები აღარ გვაქვსო. ხომ უნდა მიხვდე, რასთან გაქვს საქმე?!

***– დასუფთავების სამსახურშიც ნაციონალები ჰყავთ?***

– აბა, პასუხი, ცოცხები აღარ გვაქვსო, რას ნიშნავს?! თანაც ეს ხდება პირველ და მეორე ტურებს შორის. მიზანმიმართულ პროვოკაციებზე მიდიოდნენ. ეს ხომ მაგათი ხელწერაა, დღეს ხომ არ მოუგონიათ.

***– სააკაშვილმა დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა პოლიციას, ჯარს, მის მხარდამჭერებს კი აქციებისა და ქუჩაში გამოსვლისკენ. აჰყვებიან მის განცხადებებს პარტია ნაციონალური მოძრაობა და მისი მხარდამჭერები?***

– გუშინ ნიკა მელია გამოვიდა და გარკვევით თქვა, რომ სააკაშვილი არის ერთ-ერთი ამ გაერთიანებული ოპოზიციიდან და მას ერთი ხმა აქვს, ანუ ის ჩამოალაბორანტეს ამ გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთ რიგით წევრად. ჯერ ერთმანეთში გაარკვიონ. მერე, დაუმორჩილებლობას რაც შეეხება, ზემოთ რა მაგალითიც მოგიყვანეთ, ეს დაუმორჩილებლობის ნიმუში არ არის?! ასეა ყველა უწყებასა და ყველა სამსახურში.

***– ერთი წელი ითხოვა ბიძინა ივანიშვილმა, რამდენად ეყოფა საიმისოდ, რომ დაალაგოს სიტუაცია. თუნდაც გაწმინდოს უწყებები?***

– ეს ყველაფერი უნდა დალაგებულიყო 2012 წლის დეკემბრიდან 2013 წლის მარტამდე და უმარტივესი დასალაგებელი იყო.

***– ახლა რთული იქნება?***

– გაჭირდება, მაგრამ შეუძლებელი ნამდვილად არ არის.

***– ეს იყო ბოლო შანსი „ოცნებისთვის“ საზოგადოების მხრიდან. 2020-ში აღარ მისცემს ხალხი შანსს?***

– რა თქმა უნდა, არა. პირველი ტურის შედეგები მონაგონი იქნება, რაც 2020-ში დადგება, თუ არაფერი შეიცვალა.

***– სალომე ზურაბიშვილის შესახებ ექსპერტები საუბრობენ, რომ ურჩი პრეზიდენტი იქნება და მარგველაშვილი მონაგონი იქნება. თქვენც ასე ფიქრობთ?***

– არ მიყვარს ასე წინასწარ თქმა ხოლმე. ჩავლილია უკვე მეორე ტური და თავისუფლად შეგვიძლია თქმა, რომ „ოცნებას“ ჰყავდა ისეთი კანდიდატი, რომელიც პირველივე ტურში დამაჯერებლად მოიგებდა.

***– ვისზე საუბრობთ?***

– მაგალითად, კახა კახიშვილი. ყველაზე წარმატებული მინისტრი, რომელიც რატომ აღმოჩნდა მთავრობის ადმინისტრაციაში, ჩემთვის გაუგებარია. ესეც მათი დიდი შეცდომაა, როგორც არაერთი სხვა. მე ერთი მაგალითი მოვიყვანე, თორემ უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

***– მაინც იმავეს გკითხავთ, რამდენად შექმნის სალომე ზურაბიშვილი პრობლემებს?***

– გამორიცხული არაფერია, მისი ხასიათიდან გამომდინარე. მას სულ სხვა ბიოგრაფია აქვს, სულ სხვა ქვეყანაშია გაზრდილი, სხვა პოლიტიკური კულტურის სახელმწიფოში, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ეს პირველი ტურის ამბავი სერიოზული სილა იყო მისთვისაც.

ახლა რამდენიც არ უნდა ილაპარაკოს, რომ ბიძინას მხარდაჭერით არ გასულა, ყველამ გადასარევად იცის, რომ ბიძინას მხარდაჭერით გახდა პრეზიდენტი. ხალხმა ნათლად აჩვენა პირველ და მეორე ტურშიც, რომ გადაწყვეტილების მიმღები ხალხია.

***– 2012 წელს შეადარეს 28 ნოემბრის არჩევნები. თქვენ რამდენად გაავლებთ პარალელს?***

– არა, მე არ შევადარებ 2012 წელს. 2012 წელს იყო ტოტალური პროტესტი ძალადობის წინააღმდეგ და ახლა მეორე ტურის ამბავი არის პრაგმატული არჩევანი, რომლითაც ხელისუფლებას დაანახეს მისი ადგილი. იქ მეტი ემოცია იყო, აქ კი მეტი იყო მითითება ხელისუფლებისთვის.

***– ანუ ნაციონალური მოძრაობა რჩება მიუღებელ ძალად ქართველი ხალხისთვის?***

– რა თქმა უნდა.

***– ითქვა ისიც, რომ არჩევანი გაკეთდა ცუდსა და უარესს შორის. ამას რამდენად იზიარებთ?***

– ეს, მოდური ფრაზა გახდა ჯერ კიდევ 1990-იან წლებში. ახლა იდეალურსა და ცუდს შორის არჩევანი საფრანგეთშიც არ კეთდება. მაკრონს რომ შეხედავ, იფიქრებ, რომ ცუდსა და კარგს შორის არის არჩევანი გაკეთებული?! ასეთი იდეალური ფორმულები მსოფლიოში არსად არის.

***– ნაციონალური მოძრაობა ამ არჩევნების წინ საკმაოდ გაძლიერდა. 2020-ში რამდენად გაძლიერდებიან?***

– ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, როგორ მოიქცევა ხელისუფლება. ყველაზე დიდი შეცდომა იყო 2012-ში ეს ფრაზა, რომ შუა უნდა გაიკრიფოს. შუას თუ გაკრეფ, მერე მიიღებ ამას, რაც დღეს გვაქვს.

ჩვენთან უნდა იყოს მრავალპარტიული დემოკრატია. ხელოვნურად რომელიმე პარტიების ჩახსნა, ჩასმა, მოშორება და შუას გაკრეფა დაუშვებელია. ეს არის ნორმალურ პოლიტიკურ პროცესში ჩარევა, თუ ძალადობით არა, ავტორიტეტის გავლენით.

***– წესით, გაერთიანებული ოპოზიციისთვის ქაოსი და ქუჩის აქციები მათ გეგმებში არ უნდა შედიოდეს, თუკი სერიოზულად დაიწყებენ 2020-სთვის მზადებას.***

– ისევ მოხდება მათი დანაწევრება, იმიტომ, რომ ერთად ყოფნამ რაც მოიტანა, დაინახეს ძალიან კარგად. ახლა ყველა იმუშავებს საკუთარ თავზე.

***– ისევ გაიშლებიან? ვაშაძემ თქვა, შევინარჩუნებთ ამ ერთობასო.***

– რა თქმა უნდა, გაიშლებიან. აი, ნახავთ, აღდგომა და ხვალეო. ყველას თავისი თავი აქვს გადასარჩენი ამ პოლიტიკურ პროცესში. ძველი ფორმატით გაერთიანებას ნაციონალური მოძრაობის გარშემო რომ არ მოაქვს წარმატება, ამაში კიდევ ერთხელ დარწმუნდნენ. ახლა ვინ ვის ჩაჰყვება საფლავში, მაგათი ასარჩევია.

# ვახტანგ ძაბირაძე: „სალომე ზურაბიშვილი ეს 6 წელი თავისთვის იქნება“

ნათია ხურცილავა



პოლიტოლოგი **ვახტანგ ძაბირაძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს, თუ როგორი პრეზიდენტი შეიძლება იყოს სალომე ზურაბიშვილი.

***– ბატონო ვახტანგ, ელოდით მეორე ტურში ასეთ პროცენტულ განსხვავებას ზურაბიშვილსა და გრიგოლ ვაშაძეს შორის?***

– ასეთ პროცენტულ სხვაობას არ ველოდი, თუმცა ველოდი, რომ „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებდა.

***– ასეთი შედეგი რამ განაპირობა?***

– მიზეზი რამდენიმეა: პირველი, ამომრჩევლის დიდი ნაწილისთვის, რომელიც არჩევნების პირველ ტურში არ მივიდა, ძალიან თვალნათელი გახდა, რომ თუ „ქართული ოცნება“ არ გაიმარჯვებდა, ხელისუფლებაში ნაციონალური მოძრაობა მობრუნდებოდა. მოსახლეობა ასე აღიქვამდა, რომ ეს გამარჯვება იქნებოდა უკან მობრუნების დასაწყისი. ამიტომაც გააქტიურდა.

მეორე, საკმაოდ წარმატებული კამპანია აწარმოა მეორე ტურის წინ „ქართულმა ოცნებამ“. ის ყველაფერი გაითვალისწინა, რაც პირველ ტურში აკლდა.

მესამე, ნაციონალურმა მოძრაობამ ვერ შეძლო, მეორე ტურის წინ თავისი სტრატეგია შეეცვალა, იმავე შინაარსით გააგრძელა კამპანია, რაც შეცდომა იყო. ტონი უნდა შეეცვალა და სხვაგვარად ემოქმედა.

რაც მთავარია, ნაციონალური მოძრაობა ვერ იაზრებს, თუ რატომ არის მისი საწინააღმდეგო განწყობა ამომრჩეველში. ამ კომპონენტებმა მიგვიყვანა იქამდე, რომ სალომე ზურაბიშვილმა მეორე ტურში 20%-იანი სხვაობით გაიმარჯვა.

ამდენად, ყოველგვარ მოწოდებას დაუმორჩილებლობისკენ რეალური საფუძველი საზოგადოებაში არ ექნება. ეს რომ ყოფილიყო ერთ ან ორპროცენტიანი სხვაობით გამარჯვება, მაშინ ხალხს ოპოზიციის მოწოდებაც კი არ დასჭირდებოდა. მაშინ ნაციონალური მოძრაობაც შეეცდებოდა, პროტესტი ქუჩაში გადაეტანა, მაგრამ ახლა არა მგონია, ეს გააკეთონ.

***– რატომ?***

– იმიტომ, რომ ეს კიდევ ერთი დიდი შეცდომა იქნება, რასაც ალბათ კარგად ხვდებიან.

***– როგორი პრეზიდენტი იქნება სალომე ზურაბიშვილი? სხვადასხვა მოსაზრება არსებობს, რომ ის მარგველაშვილზე უფრო ჯიუტი პრეზიდენტი იქნება, რომ „ოცნება“ მას კარგად არ იცნობს და შეიძლება, ბევრად უფრო მეტი წინაღობა შეხვდეს მისგან, ვიდრე პრეზიდენტ მარგველაშვილისგან ჰქონდათ.***



– ვერ გეტყვით, როგორი პრეზიდენტი იქნება სალომე ზურაბიშვილი, მაგრამ გიორგი მარგველაშვილი ნამდვილად არ იყო ცუდი პრეზიდენტი, იმ უფლებამოსილებიდან გამომდინარე, რომელიც მას ჰქონდა. ზოგადად ამ ტიპის პრეზიდენტი უნდა შეფასდეს იმით, თუ რამდენად მოქმედებს ის თავისი უფლებამოსილების ფარგლებში.

ერთი, რაც ცხადი და ნათელია, არის ის, რომ სალომე ზურაბიშვილი ამ პოსტს პოლიტიკური ქულების მოსაპოვებლად არ გამოიყენებს.

***– რატომ ფიქრობთ ასე?***

– თუნდაც მისი ასაკიდან გამომდინარე. ის 6 წელი უნდა იყოს პრეზიდენტი, მერე არა მგონია, რომ კიდევ რამე პოლიტიკური ამბიცია გაუჩნდეს. ამიტომ ვფიქრობ, რომ ის კონსტიტუციის ფარგლებში დარჩება და რაიმე განსაკუთრებულს მე მისგან არ ველოდები პოლიტიკური მანევრის მიმართულებით.

ერთი, რაც შემიძლია ვურჩიო, ცოტა მოზომილი უნდა იყოს თავის გამონათქვამებში. ეს უკეთესი იქნება მისთვისაც, თორემ რამე შარს აიტეხს.

***– ზურაბიშვილი უკვე ამბობს, რომ მას ორბელიანების სასახლე უფრო შეეფერება, ვიდრე ავლაბრის რეზიდენცია. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ივანიშვილისადმი ერთგვარი ხარკია?***

– არა, როგორც ჩანს, ამ საკითხზე შეთანხმებული არიან. ბიძინა ივანიშვილისთვის თავიდანვე მიუღებელი იყო, რომ გიორგი მარგველაშვილი ავლაბარში მდებარე პრეზიდენტის სასახლეში შესულიყო. ამ საკითხის გამო მოხდა პირველი კონფლიქტი ივანიშვილსა და მარგველაშვილს შორის, რაც მერე გაღრმავდა.

ივანიშვილი ფიქრობს, რომ იქ რაღაცა სხვა უნდა გაკეთდეს, რაც მე სწორი არ მგონია. პრეზიდენტის სასახლეს თავისი დანიშნულება და ფუნქცია აქვს, ამიტომ უკეთესია, რომ მე-5 პრეზიდენტი შევიდეს იქ, სადაც არის პრეზიდენტის რეზიდენცია. ინსტიტუტისთვის ასე უკეთესია. თუმცა, რა თქმა უნდა, სალომე ზურაბიშვილისთვის, როგორც ჩანს, ახლა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს, თუ სად შევა ის, როგორც პრეზიდენტი.

ამიტომ შენობის გამო ივანიშვილის წინააღმდეგ ზურაბიშვილი ნამდვილად არ წავა. მისთვის ეს არის შენობა და არა – პრეზიდენტის სასახლე.

***– რის გამო შეიძლება ის ივანიშვილის წინააღმდეგ წავიდეს?***

– რთული სათქმელია. პრეზიდენტის უფლებამოსილებები კონსტიტუციით შეზღუდულია. ვეტოს პრეზიდენტი არ ვიქნებიო, ამბობს, არადა, პრეზიდენტის მთელი ძალაუფლება სწორედ ვეტოშია. ვერ გეტყვით, როგორი პრეზიდენტი იქნება. მე ვფიქრობ, რომ ალბათ უფრო თავისთვის იქნება ეს 6 წელი.

***– და პოლიტიკურ კარიერასაც დაასრულებს?***

– რა თქმა უნდა. ერთადერთი დადებითი, რაც შეიძლება ჰქონდეს და რაც უკვე ჩანს, არის ის, რომ სალომე ზურაბიშვილი პრეზიდენტის სავარძელს პოლიტიკური ნიშნით, პოლიტიკური კაპიტალის დასაგროვებლად არ გამოიყენებს.

# „საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს“

## გაერთიანებული ოპოზიცია არჩევნებს არ ცნობს და ქუჩის აქციებს იწყებს

შორენა მარსაგიშვილი

კახელების მიერ თარს გოგიად მონათლული გოგა ხაინდრავას თაიგული „ქართული ოცნებისთვის“ შეიძლება კიდევ ერთხელ აღმოჩნდეს საბედისწერო. 28 ოქტომბერს მის მიტანილ თაიგულს მეორე ტური მოჰყვა, გვირილებიანმა ბუკეტმა კი შეიძლება ვადამდელ არჩევნებამდე მიიყვანოს საქმე – გაერთიანებული ოპოზიცია საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებს არ ცნობს და ქუჩის აქციებს იწყებს.

არჩევნების შედეგები მიხეილ სააკაშვილმა არჩევნების დასრულებისთანავე უარყო. მან მხარდამჭერებს სამოქალაქო დაუმორჩილებლობისკენ მოუწოდა.

მის ამ გამოსვლას გაერთიანებული ოპოზიციის ლიდერები დიდი ოვაციებით არ შეხვედრიან, თქვეს, რომ ეს მხოლოდ ერთი კაცის პოზიციაა. ამან მეოცნებეთა რიგებში გააჩინა განცდა, რომ ოპოზიციის რიგებში დაპირისპირებაა. მოლოდინი არ გამართლდა. გუშინ, 29 ნოემბერს, ნაფრონტალი ნაციონალები ფილარმონიაში შეიკრიბნენ და ბრძოლის ახალი გზა დასახეს.

გაერთიანებული ოპოზიცია კვირას, 2 დეკემბერს, რუსთაველის გამზირზე საპროტესტო აქციას გამართავს.

გრიგოლ ვაშაძის თქმით, ეს არის ერთ-ერთი გზა, რომ ხელისუფლებამ გაიგოს საზოგადოების ხმა.

ვაშაძის შეფასებით, საქართველოს არ ჰყავს პრეზიდენტი და 28 ნოემბერს საქართველოში არჩევნები არ ჩატარებულა.

– ჩვენ საქართველოში საპრეზიდენტო არ-



ჩევნები არ გვქონდა. ჩვენ გვქონდა კრიმინალური ტერორის პირობებში ჩატარებული, ხელისუფლების მიერ ორგანიზებული კრიმინალური ფარსი. ზუსტად ამიტომ ჩვენ ამ არჩევნებს არ ვაღიარებთ და მის შედეგებს არ ვცნობთ.

საქართველოს პრეზიდენტი არ ჰყავს, პრეზიდენტი ჰყავს ბიძინა ივანიშვილს. რა უსულო საგანიც არ უნდა შეიტანონ პრეზიდენტის სასახლეში, ის პრეზიდენტი არ იქნება და ამ უსულო საგნის მიმართ არავითარი პოლიტიკური და მორალური ვალდებულებები არ გვაქვს, – აღნიშნა ვაშაძემ ფილარმონიაში გამოსვლისას.

ფილარმონიაში შეკრებილებს მიხეილ სააკაშვილმაც მიმართა. მან გაერთიანებული ოპოზიციის წევრებს უთხრა, რომ ბოლო ამოსუნთქვამდე მათთან იქნება.

ერთგულების ფიცის დადების შემდეგ სააკაშვილმა მხარდამჭერებს 2 დეკემბერს მშვიდობიან აქციაზე გამოსვლისკენ მოუწოდა.

– ჩვენ არ ვაღიარებთ შედეგებს და გვჭირდება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები. ჩვენ მაგარი ხალხი ვართ, ამიტომ კვირას დავანახოთ ყველას, რომ მოსყიდვისა და დაშინების გარეშე გამოვდივართ გარეთ.

ჩვენ 28 ნოემბერს მოვიპოვეთ პირველი გამარჯვება. კვირას ყველა დავდგებით ფეხზე და მშვიდობიანად, ორგანიზებულად, მაგრამ მკვეთრად მოვითხოვთ ვადამდელ არჩევნებს. სიცოცხლის ბოლო ამოსუნთქვამდე თქვენთან ვარ და თქვენთვის ვარ. ჩვენ დაბადებული ვართ გამარჯვებისთვის და ნურაფრის შეგეშინდებათ, – მიმართა სააკაშვილმა მხარდამჭერებს.



დარბაზში მყოფ საზოგადოებას მისმა სიტყვებმა გული აუჩუყა. მათ ლიდერს გამოსვლა რამდენჯერმე ტაშით შეაწყვეტინეს და საქართველოში დაბრუნებისკენ მოუწოდეს.

მიხეილ სააკაშვილის თქმით, არჩევნების შედეგებში დამნაშავე მხოლოდ ბიძინა ივანიშვილია. მან მხარდამჭერებს სთხოვა, რომ ხალხი არ დაადანაშაულონ.

– ქართველმა ხალხმა პრეზიდენტად გია ვაშაძე აირჩია. მივესალმები ხალხის პრეზიდენტ გრიგოლ ვაშაძეს, მივესალმები გაერთიანებულ ოპოზიციას. ჩვენი ძალა ერთობაშია, ერთობით გავიმარჯვებთ.

ივანიშვილი ცდილობს, რომ ჩვენ დავადანაშაულოთ ჩვენი ხალხი. ეს უკვე დავინახე ზოგიერთ გამონათქვამში, ხალხი კარტოფილზე გაიყიდა, ხალხმა ფული აიღო – რა შუაშია ხალხი? ხალხმა ჩვენ მოგვცა ხმა.

ნუ ადანაშაულებთ ხალხს, ივანიშვილს ეს უნდა. დამნაშავე მხოლოდ ბინძური ბიძინა ივანიშვილია, საქართველო დაუძინებელი მტერი. ახლა არის მცდელობა, რომ დავიწყოთ ძებნა ჩვენს რიგებში დამნაშავეების, ეს ივანიშვილის თამაშია, ნურავინ შეყვებით თამაშში.

დამნაშავე არის მხოლოდ ერთი – საქართველოს მტერი ივანიშვილი. ნახეთ საერთაშორისო ორგანიზაციების დასკვნები, ასეთი ცუდი დასკვნები საქართველოს არჩევნებში არ გაკეთებულა 2003 წელსაც კი.

ამ დასკვნების თანახმად, არჩევნებზე იყო მასობრივი ძალადობა, გაყალბება. ჩვენ არ ვაღიარებთ არასდროს გაყალბებული არჩევნების შედეგებს, მსოფლიომ ეჭვქვეშ დააყენა მათი ლეგიტიმურობა და ჩვენ ვინ ვართ, რომ ვაღიაროთ. კვირას ყველანი თავისუფლების მოედანზე, თბილისის ცენტრში, კვირას საქართველო ფეხზე დადგება და ეტყვის უარს ივანიშვილს, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სალომე ზურაბიშვილს პრეზიდენტად არც გაერთიანებული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი ბაჩუკი ქარდავა მიიჩნევს.

ქარდავას თქმით, ზურაბიშვილი ქვეყნის პრეზიდენტი ვერ გახდება, რადგან მოსახლეობის დიდმა ნაწილმა მას მხარი არ დაუჭირა.

– სალომე ზურაბიშვილი ვერ გახდება ამ ქვეყნის პრეზიდენტი. ის საქართველოს მოსახლეობას არ აურჩევია. შესაბამისი იქნება ჩვენი მოქმედებაც, ჩვენ არ ვცნობთ მას, როგორც საქართველოს პრეზიდენტს, იმიტომ, რომ მას არ ცნობს საქართველოს პრეზიდენტად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი.

ქმედებებიც იქნება შესაბამისი, როგორც ქართველი ხალხი მოიქცევა, ჩვენ ვალდებული ვართ, ავუწყოთ მათ გეგმებს, განწყობებს მხარი, – განაცხადა ქარდავამ.

ოპოზიციის კიდევ ერთი ლიდერი, ზაალ უდუმაშვილი, ამბობს, რომ 28 ნოემბერს ხალხს შეურაცხყოფა მიაყენეს.

– ასეთი რაოდენობისა და მასშტაბების გაყალბების მომსწრე მე არ ვარ. ქართველმა ადამიანმა შეიძლება ძალიან ბევრ რამეს გაუძლოს და ძალიან ბევრი რამ აიტანოს, მაგრამ საქართველოს მოქალაქე არასდროს აიტანს შეურაცხყოფასა და დაცინვას. სწორედ ეს იყო 28 ნოემბერს, რაც ჩვენ ვიხილეთ, საქართველოს მოსახლეობას მიაყენეს შეურაცხყოფა და წაართვეს არჩევანის უფლება, – განაცხადა უდუმაშვილმა.

თაკო ჩარკვიანის თქმით, ქართველმა საზოგადოებამ ახლა უნდა შეცვალოს ქვეყანა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მომავალ არჩევნებზე ისევ გაჩნდება ქვეყანაში რუსული ფული და რომელიმე მდიდარი ადამიანი ისევ გამოიყენებს საკუთარ სიმდიდრეს.

მისი განცხადებით, ხელისუფლებამ მთავარსარდლად ისეთი ადამიანი აირჩია, რომელიც არ აირჩია ჯარმა და ოლიგარქის მიერ დასმული პრეზიდენტის არჩევას რუსული ტელევიზიები ზეიმობენ.

– აირჩიეს მთავარსარდლად ადამიანი, რომელიც არ აირჩია ჯარმა... ეს ძალიან რუსული ხელისუფლება უნდა წავიდეს... ეს ყველაფერი რუსეთმა გაგვიკეთა და ყველა არჩევნებში, რასაც უნდა, იმას გაგვიკეთებს, ამიტომ, რა უფლება აქვს გაერთიანებულ ოპოზიციას, თქვენი თითოეული ხმა არ დაიცვას.

ყველაზე კარგი და საოცარი რაც მოხდა, ის არის, რომ ხელისუფლებამ იცის, ერთი მილიონი კაცი ღმუის მის უკან და ის ოპოზიციაა. ზუსტად ვიცით, რომ შიშით არ დაიძინებენ ღამე, მოკრძალება და რიდი ექნებათ. სიყვარულის არ მჯერა მე, იმიტომ, რომ მაშინ არ აკადრებდნენ ქალბატონს, რომლის დამალვაც მოუხდათ არჩევნების წინ.

ყველაფერი გვაკადრეს, 2012 წელს დაიწყო, როგორც ჩანს, ეს კადრება და მე პირადად ვერ ვიგრძენი, იმ შეცდომების გამო, რომლებიც წინა ხელისუფლების დროს იყო, ვერ მიხვდი, მაგრამ ორ-სამ თვეში მივხვდი, რომ დიდი რუსული უბედურება შემოდიოდა ჩვენს ქვეყანაში, – აღნიშნა თაკო ჩარკვიანმა.

გაერთიანებულ ოპოზიციაში არ გამორიცხავენ, მათ მომხრეებზე ზეწოლა განხორციელდეს. გიორგი ვაშაძემ საგანგებოდ მიმართა ივანიშვილს და გააფრთხილა, მათ მომხრეებს ერთი ღერი თმა არ ჩამოუვარდეთ.



* * *

აქციებში მონაწილეობას „ევროპული საქართველო“ არ მიიღებს. ამასთან, ის არჩევნების შედეგებს გმობს. ისინი თავიანთი მოედნიდან აპროტესტებენ ამ შედეგს.

გიგა ბოკერია ამბობს, რომ ასეთი გაყალბება კარგა ხანია არ ყოფილა.

მისი თქმით, არჩევნებთან დაკავშირებით საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან ასეთი კრიტიკული შეფასებები შევარდნაძის დროიდანაც კი არ ახსენდება.

– ჩვენ ახლა ვიხილეთ საერთაშორისო დამკვირვებლების დასკვნა. მინდა გითხრათ, რომ შევარდნაძის დროიდან არ მახსენდება არც მე და არც არავის, ვინც ადევნებს ამას თვალყურს, ასეთი კრიტიკული შეფასებები ჩვენი საერთაშო-



რისო პარტნიორებისგან, იმ ჯგუფებისგან, რომელთა ფუნქციაც არის საქართველოში საარჩევნო დემოკრატიის შეფასება.

ეს არის უზარმაზარი უკან გადადგმული ნაბიჯი დემოკრატიის საკითხში. უმძიმესი დარტყმა მიაყენა ივანიშვილმა საქართველოს დემოკრატიას გუშინაც და ამ საარჩევნო კამპანიის განმავლობაში. დაშინება, მოსყიდვა, ფარულობის სისტემური დარღვევა ამ არჩევნებზე – ეს კომბინაცია, აი, ამ სამი ფაქტორის, როგორც მთავარი გამოწვევა ამ არჩევნებისა და ქართული დემოკრატიისთვის.

ეს კიდევ უფრო ზრდის ჩვენს პასუხისმგებლობას იმაზე, რომ შევიმუშაოთ სტრატეგია, როგორ გამოვიდეთ ამ მდგომარეობიდან და ჩვენ ხვალ გვექნება პოლიტიკური საბჭოს სხდომა და ამ საკითხზე ვიმსჯელებთ.

ჩვენს სტრატეგიაში არც ერთ შემთხვევაში არ იქნება მოწოდებები ჯარის ან სამართალდამცავი ორგანოების მიმართ დაუმორჩილებლობის თაობაზე ან რაიმე იმ ტიპის ნაბიჯი, რაც საქართველოს სტაბილურობას შეუქმნის საფრთხეს. მთავარი საფრთხე სტაბილურობის, დემოკრატიის, საქართველოს ხელისუფლებისთვის არის დღევანდელი ხელისუფლება და ივანიშვილის რეჟიმი და ეს დასტურდება იმ უმძიმესი შეფასებებიდანაც, რაც ვნახეთ საერთაშორისო დამკვირვებლებისგან ამ არჩევნებზე, – აღნიშნა გიგა ბოკერიამ.

## სალომე ზურაბიშვილი: „ვიდრე რუსეთი ისე იქცევა, როგორც ახლა, არა მგონია, ჩვენ შეგვეძლოს პირდაპირ თანამშრომლობაზე გადასვლა“

– ვიდრე რუსეთი ისე იქცევა, როგორც ახლა, არა მგონია, ჩვენ შეგვეძლოს პირდაპირ ახლა თანამშრომლობაზე გადასვლა.

ამის შესახებ საქართველოს ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმაBBC-ის რუსული სამსახურისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

– იმის გათვალისწინებით, თუ რა ხდება ოკუპაციის ხაზზე, სადაც ხალხს იტაცებენ და ეს ხაზი ჩვენი ტერიტორიის სიღრმეში გადმოდის, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ იქცევა რუსეთი უკრაინასთან მიმართებით, არა მგონია, ყველაფერი ეს იმას ნიშნავდეს, რომ ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ახლა თანამშრომლობაზე გადავიდეთ, – განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს პროევროპული პოზიცია უკავია და, იმ შემთხვევაში, თუ დასავლელი პარტნიორები ევროპისა და ამერიკის სახით რუსეთთან დიალოგს დაიწყებენ, საქართველო გვერდზე არ დარჩება.

## ირაკლი ლექვინაძე: „რკინიგზის პრივატიზაციამ, შესაძლოა, კომპანიის ეფექტურობა გაზარდოს“

ბიზნესომბუდსმენი ირაკლი ლექვინაძე მიიჩნევს, რომ საქართველოს რკინიგზის პრივატიზაცია დასაშვებია და ამან, შესაძლოა, აღნიშნული კომპანიის ეფექტურობის ზრდა გამოიწვიოს.



მისივე თქმით, მსგავსი ტიპის ობიექტების მიმართ ინვესტორთა ინტერესი ყოველთვის მაღალია.

ირაკლი ლექვინაძის განცხადებით, ამ ეტაპზე კონკრეტულ პრივატიზების მოდელზე საუბარი შეუძლებელია, თუმცა, მისივე განმარტებით, როცა საქმე სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებს ეხება, გასხვისების ფორმებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს.

– მსგავსი ტიპის პრივატიზაცია ეკონომიკური განვითარების კუთხით შეიძლება იყოს მისაღები, რადგანაც სახელმწიფო ორგანიზაციებში შეიძლება ოპერირების ან სხვა ნაწილში კერძო სექტორის მონაწილეობა. თუ რა ფორმით და როგორ, ამის ძალიან ბევრი მოდელი არსებობს. მე გამიჭირდება კონკრეტულ ფორმაზე საუბარი, რადგან ეს ზოგადი მოსაზრებაა და კონკრეტიკა არ გვაქვს. თუმცა მსგავსი ტიპის მოქმედებები რეალურად შესაძლებელია და ამან შეიძლება გაზარდოს ამ კომპანიის ეფექტურობა, – განაცხადა ბიზნესომბუდსმენმა.

„საქართველოს რკინიგზის“ შესაძლო პრივატიზებასთან დაკავშირებით განცხადება „ბლუმბერგთან“ ეკონომიკის მინისტრმა გიორგი გახარიამ გააკეთა.

# ვახტანგ მაისაია: „ქერჩის სრუტეში რუსეთის ქმედება უკრაინაზე სამხედრო თავდასხმაა“

გულიკო ბალაძე

რა მოცემულობას ქმნის ქერჩის სრუტეში უკრაინა-რუსეთის ახალი სამხედრო დაპირისპირება და ამ კონტექსტში საქართველოს სახელმწიფოს რა საშიშროებები ექმნება, ამის შესახებ „ახალ თაობას“ ექსპერტი სამხედრო-პოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ესაუბრა.

***– ბატონო ვახტანგ, უკრაინის მხარის განცხადებით, რუსეთი ქერჩის სრუტეში უკრაინის გემებს თავს დაესხა. რუსეთსა და უკრაინას შორის ღია სამხედრო დაპირისპირება ქერჩის სრუტეში რა მოცემულობას ქმნის ზოგადად და პოსტსაბჭოთა სივრცის ქვეყნებისთვის?***

– მართლაც საინტერესოა რუსეთის მხრიდან სიტუაციის ასე დაძაბვის გარემოებები. ქერჩის სრუტეში მიმოსვლა რეგულირებული იყო 1997 წლის ხარკოვის ხელშეკრულებით, რომელიც დაიდო რუსეთსა და უკრაინას შორის, სადაც განისაზღვრა, როგორ გამოიყენებდნენ უკრაინისა და რუსეთის მხარეები აზოვის ზღვაში ნაოსნობას.

აზოვის სანაპირო დაკავებულია რუსეთისა და უკრაინის სახელმწიფოების მიერ. ორივეს გააჩნია თანაბარი უფლება აზოვის ზღვაზე, რომ გამოიყენონ ისე, როგორც მათ მოესურვებათ. დღემდე ეს რეგულირდებოდა ხარკოვის ხელშეკრულებით.

უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების გემებს რუსული მხარის ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე თავისუფლად შეეძლოთ გადაადგილება თავიანთი კონტროლირებადი ტერიტორიის გამოყენებით და ქერჩის სრუტის გამოყენება. ქერჩის სრუტე არის ასევე უკრაინის ტერიტორია. ყირიმის ნახევარკუნძული ქერჩის მიმართულებით უკრაინის კონტროლქვეშ არის.

***– როგორც ჩანს, რუსეთი ყირიმის მიტაცებიდან გამომდინარე მოქმედებს.***

– პრობლემები მაშინ დაიწყო, როდესაც რუსეთმა უკრაინას ყირიმის ნახევარკუნძული წაართვა და თვითნებურად ააშენა ქერჩის ნახევარკუნძულსა და ყირიმს შორის გამავალი სახმელეთო ხიდი. ამ მშენებლობასთან დაკავშირებით უკრაინის მხარე საქმის კურსში ჩაყენებული არ იყო.

ბუნებრივია, ამან გამოიწვია ის, რომ რუსეთმა აზოვის სრუტე თვითნებურად ჩაკეტა. რუსეთი არა მხოლოდ 1987 წელს დადებულ ხელშეკრულებას არღვევს, არამედ გაეროს 1983 წლის ზღვის კონვენციას, სადაც ეს საკითხები კარგად არის გაწერილი – სრუტე უნდა გაიყოს ორ თანაბარ ნაწილად, მათ შორის, საზღვაო აკვატორიის მიხედვით. უკრაინას აქვს უფლება, ამ სრუტეში გაიაროს, მათ შორის, სრუტეში იმოძრაონ სამხედრო გემებმა.

უკრაინა არის შავი ზღვისპირა ქვეყანა და, კონკრეტულად, აზოვის ზღვაზე ამ ორ ქვეყანას – უკრაინასა და რუსეთს ნაოსნობის უფლება აქვს. ახლა რუსეთმა ცალსახად მოახდინა არათუ ხელის შეშლა, არამედ თავდასხმა უკრაინის სამხედრო-საზღვაო ძალების სამ გემზე. რუსეთის



ქმედება, ფაქტობრივად, არის სამხედრო თავდასხმა უკრაინაზე.

***– ლავროვმა განაცხადა, რომ უკრაინამ რუსეთს პროვოკაცია მოუწყო. უკრაინის მხრიდან პროვოკაციის რაიმე საფუძველი ჩანს? უკრაინას რაში აწყობდა, ვთქვათ, რუსეთისთვის პროვოკაცია მოეწყო?***

– თუ უკრაინული მხარე პროვოკაციას დააპირებდა, ორ მცირეგაბარიტიან კატარღასა და ერთ ბუქსირს არ გააგზავნიდა ასეთი პროვოკაციის მოსაწყობად, გაცილებით ძლიერი დაჯგუფების ელემენტებს გამოიყენებდა.

რა უფლებით ლაპარაკობს ლავროვი პროვოკაციაზე, როდესაც უკრაინის გემები გადაადგილდებოდნენ თავის ტერიტორიაზე. ეს იგივეა, ჩვენი სამხედრო შენაერთები აფხაზეთის ტერიტორიაზე რომ გადაადგილდებოდნენ და რუსმა ოკუპანტებმა ადგილობრივი სეპარატისტულ ჯგუფებთან ერთად ჩვენს შეიარაღებულ ძალებს ცეცხლი გაუხსნეს 1992 წლის 14 აგვისტოს, მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ედუარდ შევარდნაძემ ჯარის გადაადგილება არძინბას შეუთანხმა.

***– უკრაინასა და რუსეთს შორის შექმნილი სიტუაცია სადამდე შეიძლება დაიძაბოს? უკრაინის პრეზიდენტმა გაეროს მიმართა და საომარი მდგომარეობაც გამოაცხადა.***

– დიახ, რადგამ დაამტკიცა საომარი მდგომარეობის გამოცხადების შესახებ უკრაინის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს გადაწყვეტილება. მოითხოვენ უკრაინის სამხედრო საზღვაო გემებისა და დატყვევებული სამხედროების გადაცემას უკრაინის მხარისთვის. შეიარაღებული შეტაკების შედეგად, სამი სამხედრო დაიჭრა. რუსებმა ერთი კატარღა ჩაძირეს, შემდეგ კი ბუქსირით გადაიყვანეს რუსეთის მიერ ანექსირებულ ტერიტორიაზე. ფაქტობრივად, უკრაინაზე მოხდა სამხედრო თავდასხმა. ეს არის ფაქტი.

***– ამ შემთხვევაში უკრაინის პასუხი როგორი შეიძლება იყოს?***

– საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ უკრაინა განიხილავს ყველა ვარიანტს. გაეროს წესდების 33-ე მუხლის შესაბამისად, უკრაინა შეეცდება, მშვიდობიანი გზით დაარეგულიროს კონფლიქტური სიტუაცია. უკრაინა იტოვებს გაეროს წესდების 58-ე მუხლით აღებულ ვალდებულებას თვითდაცვის პუნქტის ამოქმედებასთან დაკავშირებით.

***– რის მიღწევას ცდილობს რუსეთი? უნდა, მითვისებული ყირიმის ნახევარკუნძული და მის ირგვლივ არსებული სივრცე მის გამგებლობაში მოაქციოს?***

– მე მგონი, რუსეთი სხვა მხარეს უმიზნებს. როგორც კი აზოვის ზღვაზე პროვოკაცია მოხდა, დონბასის მხარეში დონბასელმა სეპარატისტებმა მარიუპოლის მიმართულებით უკრაინის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ მასირებული ცეცხლი გახსნეს და უკრაინულმა მხარემ მათ პასუხი გასცა, ანუ იქაც განხორციელდა პროვოკაციები.

როგორც ჩანს, პრორუსი შეიარაღებული ძალები აპირებენ შეიარაღებულ თავდასხმას, რომლის მთავარი იდეაა, დაიკავონ უკრაინის საპორტო ქალაქი მარიუპოლი. მარიუპოლს უკრაინელები აკონტროლებენ და დონბასელი სეპარატისტების მხრიდან ისინი ალყაში არიან.

დღეს უკრაინაში ისეთივე სიტუაციაა, როგორიც ჩვენ გვქონდა 1993 წლის 17 სექტემბერს, როცა ჩვენ ვაკონტროლებდით ოჩამჩირესა და გალს, აფხაზები აკონტროლებდნენ ახალ ათონს, გუდაუთას, განთიადსა და ტყვარჩელის რაიონს. მოეწყო პროვოკაცია, აფხაზებმა ჩვენ ცეცხლი გაგვიხსნეს, ანუ, ფაქტობრივად, რუსეთი უკრაინაში იმეორებს აფხაზეთის სცენარს.

თუ დონეცკის მხარე პრორუსულმა ძალებმა მთლიანად ჩაიგდეს ხელში, ეს იმას ნიშნავს, როგორც აფხაზეთის მთლიანად დაკარგვას ჰქონდა ფსიქოლოგიური ეფექტი, ასევე დონბასისა და დონეცკის მთლიანი რეგიონის კონტროლი რუსი სეპარატისტების მიერ უკრაინის მოსახლეობაზე ფსიქოლოგიურ გავლენას იქონიებს.

***– ფსიქოლოგიური გავლენის შედეგი რა იქნება?***

– როგორც აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ საქართველო იძულებით შევიდა დსთ-ში, შეიძლება, მსგავსი ვარიანტი გააჩნია პუტინის რეჟიმს, რომ ფსიქოლოგიური დარტყმის შედეგად უკრაინელების ნებისყოფა გატეხოს, რომ უკრაინამ უარი განაცხადოს ნატოსა და ევროკავშირის წევრობაზე.

***– ამჟერად მაინც გაერომ და ნატომ უკრაინას რეალური დახმარება შეიძლება აღმოუჩინონ?***

– ვერ გეტყვით. საქმე უკვე შეიარაღებულ კონფლიქტამდე მივიდა, შეიქმნა ომის წინაპირობები. საქართველოსაგან განსხვავებით, უკრაინელებმა საომარი მდგომარეობა გამოაცხადეს. როცა ომია და უკვე ჩანს, რომ რუსული აგრესია უკვე აშკარაა, საერთაშორისო ორგანიზაციებს მოუწევთ გარკვეული ღონისძიებების მიღება იმისათვის, რომ, სულ მცირე, რუსული აგრესია დაგმონ ან შეაჩერონ და იმ მიზნებზე, რომლებიც გააჩნია რუსეთს, უარი ათქმევინონ.

ყირიმს არავინ დააბრუნებს, სამწუხაროდ, უკრაინასაც არ გააჩნია ამის ძალა, მაგრამ მარიუპოლი რომ შეინარჩუნონ და მშვიდობა დამყარდეს მინსკის მოლაპარაკების კონტექსტში, შეიძლება. რუსეთმა უკრაინას პირდაპირ ომი გამოუცხადა.

***– რამდენიმე თვის წინ პუტინმა განაცხადა, რუსეთი დიდია და სხვისი ტერიტორიები არ გვჭირდებაო, მაგრამ, ფიცი მწამს, ბოლო მაკვირვებსო. რუსეთს რაში სჭირდებოდა ახლა უკრაინასთან აღნიშნული კონფლიქტის წამოწყება?***

– რუსეთს უკრაინასთან საზღვაო კონფლიქტის წამოწყება აწყობდა შავი ზღვის აკვატორიაში თავისი პოზიციების გასაძლიერებლად. ნახეთ, როგორ დაემთხვა სიტუაცია, რუსეთმა გაიყვანა გაზის მილსადენი „სამხრეთ ნაკადი“. ეს არის საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტორი. ამის პარალელურად, მას სურს გააძლიეროს რუსეთის სამხედრო ყოფნა შავი ზღვის აკვატორიაში, „სამხრეთ ნაკადი“ დაიცვას სამხედრო ძალების მეშვეობით.

მეორე მხრივ, შექმნილი ვითარება საქართველოს მიმართულებითაც არის სიგნალის გამოშვება. თუ რუსეთი უკრაინაში წავიდა დაძაბულობის ესკალაციაზე, საქართველოსთანაც წავა დაძაბულობაზე.

***– რას გულისხმობთ?***

– რუსეთმა ფსიქოლოგიური ომი უკვე დაიწყო. უკრაინაში მოვლენები, ფაქტობრივად, ადასტურებს, რომ საქართველოს მიმართაც წავა დაძაბულობაზე, რასაც ხშირად ვამბობდი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში, რომ რუსეთმა დაიწყო ფსიქოლოგიური ომი საქართველოს წინააღმდეგ. სამწუხაროდ, რუსეთის ეს ქმედებები დამტკიცდა საქართველოს მიმართ. რუსეთი ცდილობს, შავი ზღვის აუზი არ გახდეს ამერიკული სამხედრო გავლენის ერთგვარი დასაყრდენი.

***– შავი ზღვის აუზის დაცვის სპეციალური ორგანიზაცია ხომ არის შექმნილი სხვადასხვა ქვეყნის, მათ შორის, ამერიკის მონაწილეობით?***

– ნატოს ჰქონდა შავი ზღვის აუზის უსაფრთხოების დაცვის ინიციატივა. გარკვეულწილად, ნატოს სამხედრო-საზღვაო ძალების გაძლიერებას ისახავდა მიზნად, მაგრამ რუსები მუშაობენ დასწრებაზე, რომ ამერიკას არ მისცენ მათი გეგმების განხორციელების საშუალება. როგორც რუსებმა ჩაშალეს „კასპიის გუშაგის“ ანალოგიური ტიპის პროექტის განხორციელება და კასპიის ზღვას დაეუფლნენ, ასე დაეუფლნენ აზოვის ზღვას და შემდეგ გადავიდნენ შავ ზღვაზე. ეს ლოგიკურია.

***– ამერიკელები შავი ზღვის კონტროლისთვის ბრძოლას აღარ დაიწყებენ?***

– რუსებმა ახლანდელი ქმედებებით ამერიკელებს შავი ნიშანი მისცეს. ვნახოთ, ამერიკელებს ამაზე რა რეაქცია ექნებათ.

# მთავრობამ სარეზერვო ფონდიდან ფულის ხარჯვა შეამცირა — „წელს წინასაარჩევნო კონცერტები არ დაუფინანსებიათ“

მთავრობის სარეზერვო ფონს წელს ხარჯვით ნაწილში გადაჭარბება არ აქვს. როგორც ბიუჯეტის 10 თვის შესრულების ანგარიშში ვკითხულობთ, იანვარ-ოქტომბერში მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 30,2 მლნ ლარი დაიხარჯა, ბიუჯეტის კანონის მიხედვით კი მთლიანად წელს გამოყოფილია 50 მლნ ლარი.

არადა, წლების განმავლობაში მთავრობის სარეზერვო ფონდი „უძირო ქვევრივით“ იყო, თითქმის ყოველთვის ხარჯვითი ნაწილი ბიუჯეტში გაწერილ თანხას ერთი-ორად აღემატებოდა. სარეზერვო ფონდიდან თანხები კი იხარჯებოდა არა მხოლოდ „სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საგანგებო შემთხვევებზე„, არამედ კონცერტებისა და სხვა კულტურული ღონისძიებებისთვის, ასევე წინასაარჩევნო რეკლამების დაფინანსებისთვის.

რაც შეეხება კონკრეტულად ციფრებს: 2018 წლის ბიუჯეტი კანონის მიხედვით მთავრობის სარეზერვო ფონდისთვის გათვალისწინებულია 50 მილიონი. 10 თვის შესრულების ანგარიშის მიხედვით, უკვე გამოიყო 31.388.299 ლარი, საიდანაც დაიხარჯა 30.244.437 ლარი. ეს მაშინ, როდესაც 2017 წელს ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 40 მილიონი, გამოიყო 76 918 869 ლარი, გადაირიცხა 73.729.887 ლარი, ხოლო 2016 წელს სარეზერვო ფონდის ხარჯვამ ბიუჯეტით გათვალისწინებულ გეგმას რამდენჯერმე გადააჭარბა – 2016 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი იყო 50 მილიონი, ხოლო დაიხარჯა 172.872.654 ლარი.

როგორც გასული წლების ბიუჯეტში ვკითხულობთ, 2018 წელს თანხები ძირითადად გამოიყო სამინისტროებისთვის, მოსახლეობის ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირით მომარაგებისთვის, ხელოვნების განვითარების ხელშეწყობისთვის. ასევე, გათვალისწინებული იყო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ტრანსფერები.

2017 წელს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან თანხები ძირითადად დაიხარჯა სამინისტროებში, პარტიებისა და მათი საარჩევნო რეკლამების დაფინანსებაში, კულტურულ და სპორტულ პროგრამებში. თანხები ასევე გამოიყო საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის და გათვალისწინებული იყო ადმინისტრაციული ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერები.



2016 წელს საბიუჯეტო თანხის ძირითადი ნაწილი განკუთვნილი იყო, არჩევნებისა და შესაბამისი ღონისძიებებისთვის, სამინისტროებისთვის, კულტურული და სპორტული პროგრამებისთვის, საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის, მეწარმეობის განვითარებისა და საყოველთაო ჯანმრთელობის პროგრამებისთვის. მათ შორის იყო ასევე ადმინისტრაციული ერთეულებისთვის გადასაცემი ტრანსფერები.

აღსანიშნავია, რომ გასულ წლებთან შედარებით, 2018 წელს საარჩევნო ღონისძიებებისთვის სარეზერვო ფონდიდან თანხები არ გამოყოფილა, რაც იურისტი ლევან ალაფიშვილის შეფასებით, არის სწორედ ის მიზეზი, რის გამოც მიმდინარე წელს სარეზერვო ფონდის ბიუჯეტის ხარჯვა გეგმის მიხედვით მიდის. მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ სამთავრობო გუნდს საკუთარი საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავდა, საარჩევნო ღონისძიებების დაფინანსება ძირითადად შემოწირულებებით მიმდინარეობდა.

– უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლების მონაცემებმა, თანხების გამოყოფისა და ხარჯვის ნაწილში, თავისი შედეგი დადო არჩევნების შემაჯამებელ ოქმებში. იმიტომ, რომ საარჩევნო კოდექსი და მისი რეგულაციები არ ვრცელდება სარეზერვო ფონდებზე. აქ საუბარია მხოლოდ ახალი პროგრამების დაწყებაზე და ა.შ. რაც შეეხება 2018 წელს, როგორც ჩანს, მთავრობას ამის საჭიროება არ ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ სალომე ზურაბიშვილი მათ მიერ მხარდაჭერილი იყო, ოფიციალურად ამბობდნენ, რომ პარტიას საკუთარი კანდიდატი არ ჰყავდა. შესაბამისად, სრული ჩართულობითა და მობილიზებით არ მონაწილეობდნენ საარჩევნო კამპანიაში, მხოლოდ მხარს უჭერდნენ. როგორც ჩანს, თვითონვე იყვნენ დაიმედებული, რომ ეს არ დასჭირდებოდათ, მაგრამ შემდგომ შემოწირულებების მობილიზება მოუწიათ. ამიტომაც არ გამართულა წინასაარჩევნო კონცერტები და სხვადასხვა ღონისძიებები. რომელიც გასულ წლებში ასე ჭარბად იყო. ეს ყველაფერი კი მთავრობის წლევანდელი სარეზერვო ფონდის ხარჯვის ნაწილშიც შესაბამისად აისახა, – ამბობს ლევან ალაფიშვილი.

მისი თქმით, ამასთან, გამკაცრებულია სავალუტო ფონდის მიერ კონტროლიც და, იქიდან გამომდინარე, რომ მთავრობას ზოგადად ბიუჯეტის ათვისებაში ისედაც პრობლემები აქვს, სავალუტო ფონდის ნაწილშიც დისბალანსი, შესაბამის რეაგირებას გამოიწვევდა.

– გასათვალისწინებელია ისიც, რომ საბიუჯეტო პარამეტრებს, ათვისებასა და ხარჯვას უკვე მკაცრად აკვირდება სავალუტო ფონდიც და აქაც გადაჭარბება, არ იქნებოდა ასე ადვილად მიღწევადი. მთავრობას ისედაც საკმაოდ მნიშვნელოვანი ჩამორჩენა აქვს საბიუჯეტო სახსრების ათვისებაში და ახლა, ერთგან ჩამორჩენა და მეორეგან გადაჭარბებული ხარჯვა, ასე ადვილად არც ქვეყნის შიგნით და არც ქვეყნის გარეთ არ ჩაივლიდა, – აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

## გორში სამშობიარო სახლი გაქურდეს



გორში ჯუმბერ გოგიაშვილის სახელობის კლინიკა გაქურდეს. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, სამშობიარო სახლიდან წაღებულია ერთი პორტატიული კომპიუტერი. შემთხვევა 29 ნოემბერს, გვიან ღამით, სავარაუდოდ, იმ დროს მოხდა, როდესაც სათვალთვალო კამერები გათიშული იყო. როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო.

## აფეთქება მარნეულში — დაშავებულია ახალგაზრდა მამაკაცი

მარნეულში საცხოვრებელ სახლში ბუნებრივი აირის დაგროვებამ აფეთქება გამოიწვია.



შემთხვევის შედეგად დაშავდა ახალგაზრდა მამაკაცი, რომელიც საავადმყოფოშია გადაყვანილი.

„ნიუპოსტი“ დეტალებს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში აზუსტებს.

## თბილისში „SWATCH“-ის მაღაზია გაქურდეს — წაღებულია საათები და აქსესუარები




თბილისის ცენტრში, გმირთა მოედანზე, გამთენიისას, საათების მაღაზია „SWATCH“ გაქურდეს.

წაღებულია რამდენიმე ათასი ლარის ღირებულების საათები და აქსესუარები.

– დაახლოებით დილის ექვს საათზე პოლიციამ შეგვატყობინა, რომ მაღაზია იყო გაქურდული, ჩამტვრეულია შუშა და წაღებულია საათები, რაოდენობას ვაზუსტებთ, – აღნიშნა მაღაზიის მეპატრონემ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით დაიწყო, რაც ქურდობას გულისხმობს.

## რა თანხაა გათვალისწინებული 2019 წლის ბიუჯეტით პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის

2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 9.800.000 ლარი.

პროექტის მიხედვით, ადმინისტრაციაში დასაქმებულთა რაოდენობა 140 ადამიანით არის განსაზღვრული, სახელფასო ფონდი კი 4.692.000 ლარს შეადგენს.

ქვეყნის მთავარი ფინანსური დოკუმენტის პროექტის მიხედვით, ადმინისტრაციის ხარჯები 9.409.000 ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდა კი 391.000 ლარია.

რაც შეეხება პრეზიდენტის სარეზერვო ფონდს, 2019 წლის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მისი მოცულობა წინა წლების ანალოგიურად, 5 მილიონი ლარი იქნება.

რაც შეეხება 2018 წლის ბიუჯეტს, წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილია 9.800.000 ლარი, რაც თითქმის 4 მილიონით ნაკლებია 2017 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით. შარშან ბიუჯეტიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის 13.194.600 ლარი დაიხარჯა.

ბფმ.გე





## ქუცნაშვილი მოსყიდვის „ცალკეულ შემთხვევებს“ არ გამორიცხავს

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ზაქარია ქუცნაშვილი არჩევნებზე „მოსყიდვის ცალკეულ შემთხვევებს არ გამორიცხავს“, თუმცა ამბობს, რომ ეს შედეგებზე გავლენას ვერ ახდენს. ქუცნაშვილი ამომრჩევლის მოსყიდვის წახალისებაში ენმ-საც ადანაშაულებს.

– რაც შეეხება მოსყიდვის ცალკეულ შემთხვევებს: მე არ გამოვრიცხავ მოსყიდვის ცალკეულ შემთხვევებს, ეს ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს არჩევნებზე, თუმცა მინდა აღვნიშნო, რომ ენმ აწარმოებდა ამის წამახალისებელ კამპანიას, როცა მთელი პირველი და მეორე ტური ჩაატარეს ასეთი დევიზის ქვეშ: „რასაც შემოგთავაზებენ, გამოართვით“, – აცხადებს ქუცნაშვილი.

## რა დაუჯდება ბიზნესს უბედური შემთხვევების დაზღვევა

„შრომის უსაფრთხოების შესახებ“ კანონის მიხედვით, 1-ლი იანვრიდან დამსაქმებელი ვალდებული ხდება, მძიმე, მავნე და საშიშპირობებიან სამუშაოზე დასაქმებულების უბედური შემთხვევა დააზღვიოს.

სავალდებულო დაზღვევის ძალაში შესვლამდე თითქმის ერთი თვე რჩება, თუმცა ამ დრომდე არ არის ცნობილი, რა ლიმიტით და რა პირობებით მოხდება კანონის აღსრულება.

სადაზღვევო კომპანია „ჯი პი აი ჰოლდინგის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, თინა სტამბოლიშვილი აცხადებს, რომ დღეს ეს ყველაფერი ბუნდოვანია, რასაც თან ახლავს ტენდენცია, როცა კომპანიებმა ძალიან დაბალი მოცვის პოლისების შეძენა დაიწყეს. მისი თქმით, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მსოფლიოში აპრობირებული პრაქტიკა, როცა უბედური შემთხვევის დადგომის შემთხვევაში კომპენსაცია წლიური ხელფასის სამმაგი ან ხუთმაგი ოდენობით განისაზღვრება. რაც შეეხება სადაზღვევო პოლისების ღირებულებას, სტამბოლიშვილის თქმით, ეს პროდუქტი წლებია ბაზარზე იყიდება და საკმაოდ ხელმისაწვდომია კომპანიებისთვის.

– კომპანიებმა უკვე დაიწყეს არაფრისმომცემი პოლისების შეძენა, ძალიან დაბალლიმიტიანი, რაც სარგებელს არ მოუტანს არც დამსაქმებელს და არც დასაქმებულს, არც სადაზღვევო ინდუსტრიას და სახელმწიფოს. დეტალები არის აუცილებლად შესამუშავებელი და ჩვენ იმედი გვაქვს, რომ უახლოეს მომავალში კონსენსუსამდე მივალთ.

საერთაშორისო გამოცდილებიდან გამომდინარე, ვიცით, რა პირობები უნდა აისახოს კანონმდებლობაში. თუ არის საუბარი იმაზე, თუ რა სახის ლიმიტი უნდა არსებობდეს. ვთქვათ გარდაცვალების შემთხვევაში ოჯახმა უნდა შეძლოს ისეთი კომპენსაციის მიღება, რომელიც რაღაც პერიოდის განმავლობაში შეუმსუბუქებს ამ დანაკარგს ფინანსურად. ეს არის წლიური ხელფასის დაახლოებით სამმაგი ან ხუთმაგი ოდენობა და უფრო იზრდება ეს ლიმიტი, როდესაც საუბარია შრომისუნარიანობის დაკარგვაზე, როცა ადამიანი ველარ აგრძელებს მუშაობას და მას სჭირდება მოვლა მთელი ცხოვრება. ველოსიპედის გამოგონება არ გვჭირდება, გვაქვს ჩვენი მოსაზრებები და ამას შევთავაზებთ აუცილებლად დამსაქმებლებს და პირველ რიგში ჯანდაცვის სამინისტროს, რომ დაემატოს ეს პირობები და გაიწეროს ყველაფერი კანონში.



კანონი უნდა ითვალისწინებდეს, როგორც დაზღვევის პირობებს, ისე მინიმალურ ლიმიტს, რომლითაც უნდა იყოს პოლისი გაცემული. ეს დაზღვევა არ ღირს ძვირი. ჯანმრთელობის დაზღვევას რომ შევადაროთ 10-ჯერ და 20-ჯერ იაფია. საუბარია, რომ საშუალოდ 10 ათას ლარიანი ლიმიტი წელიწადში 10 ლარი ღირდეს, ასეთ ტარიფებზეა საუბარია და როდეცაც დიდი ორგანიზაციაა იქ კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდება დაზღვევის ღირებულება, – განმარტავს თინა სტამბოლიშვილი.

## აფერხებს თუ არა უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვა ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში?

აფერხებს თუ არა სასოფლო-სამეურნეო მიწების შესახებ კანონპროექტი და რეგულაციები ინვესტიციებს სოფლის მეურნეობაში? სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გელა ხანიშვილი ამბობს, რომ მას ხშირად აქვს შეხვედრა ინვესტორებთან და მათთვის აბსოლუტურად გასაგებია საქართველოს მიდგომა უცხოელებზე მიწის მიყიდვასთან დაკავშირებით, ამიტომ ეს ერთადერთი შემაფერხებელი ფაქტორი ვერ იქნება.

– დამერწმუნებით, ბევრი შეხვედრა მაქვს უცხოელ დონორებთან, ფერმერებთან, საქართველოში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ ადამიანებთან. როდესაც მათ ვაცნობთ საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას, იმ უზარმაზარი შეღავათების არეალს, რომელშიც სოფლის მეურნეობაა მოქცეული და შემდეგ ვამბობთ, რომ მიწის საკუთრების განკარგვა მარტივი არ არის, რადგან საქართველოს აქვს ასეთი პოლიტიკა არჩეული, რომ მან არ შეიძლება გაასხვისოს უცხოელზე მიწა, ისინი აბსოლუტურად სწორად იგებენ ამას. ბევრი ქვეყანაა, რომელიც საქართველოსთან შედარებით უხვი მიწის ფართობებით გამოირჩევა, მაგრამ მათაც იგივე პოლიტიკა აქვთ.



ამიტომ ეს არ არის ის შემაფერხებელი ფაქტორი, რომელიც ერთადერთ ფაქტორად შეგვიძლია განვიხილოთ. გაცილებით მნიშვნელოვანია მიწების დანაწილება და 1-2-ჰექტარიანი მიწების არსებობა. 800 ათასი ფერმერის არსებობა, რომლებთანაც ძნელია გარკვეული შეთანხმებების მიღწევა. ასევე, რთულია, როდესაც სოფლის მეურნეობაში ინდუსტრიალიზაცია არის მწირი, არ არის თანამედროვე ბაღები, – აცხადებს ხანიშვილი.

მისი განცხადებით, მიწის მიყიდვით ძირითადად ის ინვესტორები არიან დაინტერესებულები, რომლებიც მიწას გასაყიდად განიხილავენ და არა წარმოების განვითარებისთვის.

– ვინც მაინცდამაინც მიწის საკუთრებაზე საუბრობს, ხშირად ისინი გვევლინებიან ადამიანებად, რომლებსაც არა ბიზნესის განვითარება უნდა, არამედ მიწის გამოყენება უნდა ყიდვა-გაყიდვის საშუალებად. რადგან ყველამ იცის, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების პირობაზე მიწის ფასი გაიზრდება მნიშვნელოვნად, ამიტომ ძალიან სერიოზული კაპიტალდაბანდება იქნება, თუ მიწას იყიდი და წლების შემდეგ გაყიდი, – აცხადებს გელა ხანიშვილი.

BM.GE

## ცეცხლის გახსნა ნაციონალური მოძრაობის ოფისთან ლაგოდეხში — პოლიციამ 21 წლის ბიჭი დააკავა

ლაგოდეხში ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ოფისთან ცეცხლი გახსნეს.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე დაკავებულია 21 წლის ბიჭი, რომელმაც ე.წ. სასტარტო იარაღიდან ჰაერში რამდენიმე გასროლა განახორციელა.

გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის მუხლით მიმდინარეობს.





## გორის ცენტრში ტელეფონების მაღაზია გაქურდეს

გორში, ჭავჭავაძის გამზირზე, ელექტროტექნიკის მაღაზია გაქურდეს.

„ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, წაღებულია მობილური ტელეფონები. ადგილზე სამართალდამცველები მუშაობენ.

როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდარზე გამოძიება ქურდობის მუხლით დაიწყო.

## საშინელი ავარია ცენტრალურ მაგისტრალზე — დაშავებულებს შორის მცირეწლოვანი ბავშვია



29 ნოემბერს ავარია მოხდა ცენტრალურ საავტომობილო მაგისტრალზე, სოფელ აღაიანთან. „ნიუპოსტის“ კორესპონდენტის ცნობით, „ტოიოტას“ მარკის ავტომობილი გზის სავალი ნაწილიდან გადავიდა და ამოტრიალდა. დაშავებულია ოთხი ადამიანი, მათ შორის ერთი მცირეწლოვანი ბავშვია. დაშავებულები კასპის საავადმყოფოში არიან გადაყვანილი. როგორც შსს-ში გვითხრეს, მომხდარ ფაქტზე გამოძიება 276-ე მუხლის პირველი ნაწილით დაიწყო.

# პუტინი პოროშენკოს ბრალს დებს

## მატისი: „რუსეთის ნდობა არ შეიძლება“



ქერჩის სრუტეში მომხდარმა ინციდენტმა საერთაშორისო რეზონანსი შეიძინა. რუსეთი გაეროში აბსოლუტურ იზოლაციაში აღმოჩნდა, აშშ-ის პრეზიდენტმა ტრამპმა კი პუტინთან შეხვედრის ჩაშლა არ გამორიცხა.

პუტინის თანაშემწე პესკოვმა გამოთქვა იმედი, რომ შეხვედრა მაინც შედგება.

– პუტინ-ტრამპის შეხვედრის მომზადება არ შეწყვეტილა. იმედს გამოვთქვამ, რომ პრეზიდენტები ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებიან, – თქვა პესკოვმა.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა რუსეთის მიმართ ახალი სანქციების შემოღება მოითხოვა. ყველაფერი ნატოს გენერალური მდივნის იენს სტოლტენბერგის განცხადებამ დააგვირგვინა. მან შავ ზღვაში ნატოს ხომალდების გაგზავნა არ გამორიცხა.

რუსეთის პრეზიდენტმა კომენტარი მხოლოდ 28 ნოემბერს გააკეთა. პუტინმა ყველაფერში უკრაინის პრეზიდენტი პოროშენკო დაადანაშაულა.

– უკრაინაში არჩევნები ახლოვდება! პოროშენკოს რეიტინგი ძალზე დაბალია. მანაც ამისი გამოსწორება ავანტიურული სვლით ცადა და ქერჩის ყურეში ინციდენტის პროვოცირება მოახდინა, – თქვა რუსეთის პრეზიდენტმა.

პუტინმა რუსი მესაზღვრეების მოქმედება გაამართლა. მან აღნიშნა, რომ ყველა თავმოყვარე სახელმწიფო ძალას გამოიყენებს, როცა მის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის სამხედრო გემები შეიჭრებიან. დასასრულს პუტინი პირდაპირ მუქარასაც არ მოერიდა:

– პოროშენკო თავისი ავანტიურისთვის პასუხს აგებს! მას სააკაშვილის ბედი ელის! – დაიქადა რუსეთის პრეზიდენტმა.

თავად პოროშენკომ განაცხადა, რომ ქერჩის ყურეში მომხდარი ინციდენტი შემთხვევითი არ ყოფილა. უკრაინელ მეზღვაურებს საზღვარი არ დაურღვევიათ. რუსები მათ თავს დაესხნენ ნეიტრალურ წყლებში.

– რუსეთის ცდილობს, აზოვის ზღვა ჩაკეტოს, რის შედეგადაც უკრაინული პორტები ბერდიანსკი და მარიუპოლი მთლიანად პარალიზებული იქნება, – თქვა პოროშენკომ.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ რუსები აზოვის ზღვაში არ უშვებენ 35 ხომალდს, რომლებიც მარიუპოლის ან ბერდიანსკისკენ მიემართებიან.



– რუსეთს აზოვის ზღვის ოკუპაცია სურს, – თქვა პოროშენკომ.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ჯეიმს მატისმა ინციდენტთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. მან თქვა, რომ უკრაინელებმა რუსები წინასწარ გააფრთხილეს სრუტეში გასვლის შესახებ, რუსები კი თავს დაესხნენ.

– რუსეთმა საერთაშორისო სამართალი დაარღვია! ეს კიდევ ერთხელ ამტკიცებს, რომ რუსეთის ნდობა არ შეიძლება, – ამბობს მატისი.

გენერალმა დემოკრატიულ სამყაროს მოუწოდა, რომ რუსეთის წინააღმდეგ კონკრეტული გეგმა შეიმუშაოს.

– სანქციები, რა თქმა უნდა, აუცილებლად უნდა გამკაცრდეს. ამას გარდა, აუცილებელია კონკრეტული გეგმის შემუშავება, რათა რუსული აგრესია განეიტრალდეს, – თქვა მატისმა.

# პომპეო: „ჰაშოგის მკვლელობაში პრინც სალმანის მონაწილეობა არ მტკიცდება“



ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობის გარშემო აჟიოტაჟი გრძელდება. ბევრი ჟურნალისტი თუ პოლიტიკოსი თითს საუდის არაბეთის მემკვიდრის, პრინც მუჰამად სალმანისაკენ იშვერს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო ამას არ ეთანხმება.

– ადამიანს რომ მკვლელობა დასდო ბრალად, აუცილებელი მტკიცებულებები უნდა გქონდეს! საუდის არაბეთის პრინცის მიმართ ასეთი მტკიცებულებები არ არსებობს, – თქვა პომპეომ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ხაზი გაუსვა, რომ საუდის არაბეთი აშშ-ის უმნიშვნელოვანესი რეგიონული პარტნიორია. შესაბამისად, ამ ქვეყანასთან კავშირის შესუსტება არ შეიძლება.

– ეს აშშ-ის ეროვნულ ინტერესებს დააზიანებს, – ამბობს პომპეო.

# ერდოღანი მზად არის, რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში შუამავლის როლი იკისროს

თურქეთის პრეზიდენტმა რეჯებ ერდოღანმა განაცხადა, რომ რუსეთ-უკრაინას შორის კონფრონტაციის გაღვივებით შეშფოთებულია.

ერდოღანმა აღნიშნა, რომ მომხდარის შემდეგ მინსკის სამშვიდობო პროცესი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს. თურქეთის პრეზიდენტმა მოუწოდა როგორც პუტინს, ისე პოროშენკოს, თავშეკავება გამოიჩინონ და პროცესების სისხლიანი, ტრაგიკული სცენარით განვითარება არ დაუშვან.

– მივმართავ უკრაინის პრეზიდენტს, ბატონ პოროშენკოს, რუსეთის პრეზიდენტს, ბატონ პუტინს, რათა სასწრაფოდ მოლაპარაკების მაგიდას მიუსხდნენ და ყველა პრობლემა დიალოგის გზით გადაწყვიტონ, – თქვა ერდოღანმა.

თურქეთის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მზადაა, რუსეთ-უკრაინას შორის შუამავლის როლის იკისროს.

– პუტინს ტელეფონით დავუკავშირდი და ამის თაობაზე ვუთხარი. ის დამთანხმდა, – თქვა ერდოღანმა.





# ტრამპმა მანაფორტის შეწყალება არ გამორიცხა

აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ შესაძლოა თავისი საარჩევნო შტაბის ყოფილი უფროსი პოლ მანაფორტი შეიწყალოს.

როგორც ცნობილია, მანაფორტმა ფულის გადარიცხვასა და უკანონო ლობისტურ საქმიანობაში თავი დამნაშავედ ცნო.

– არ გამოვრიცხავ, რომ მანაფორტი შევიწყალო, თუმცა ამ თემაზე სერიოზულად ჯერ არ დავფიქრებულვარ, – თქვა ტრამპმა.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# საქართველოში ამინდი გაუარესდება, ზოგან ძლიერი თოვა, ნისლი და ქარბუქია მოსალოდნელი

1-ლ დეკემბერს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში წვიმა, მაღალმთიან რაიონებში ზოგან ძლიერი თოვა, ნისლი და ქარბუქია მოსალოდნელი.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოს ეროვნული სააგენტოდან აცნობეს, 30 ნოემბერს და 1-ლ დეკემბერს კოლხეთის დაბლობზე, ზემო იმერეთსა და გორი-სურამის მონაკვეთზე მოსალოდნელია აღმოსავლეთის მიმართულების ძლიერი, დროგამოშვებით ძალიან ძლიერი ქარი.

30 ნოემბერს აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო 1-ლ დეკემბერს ქვეყნის ტერიტორიის უმეტეს ნაწილში მოსალოდნელია წვიმა, მაღალმთიან ზონაში ზოგან ძლიერი თოვა, ნისლი და ქარბუქი.

– მოსალოდნელმა ძლიერმა ნალექებმა შესაძლებელია პატარა მდინარეებზე წყლის დონეების მატება, ხოლო მთიან ზონებში თოვლის ზვავების ფორმირება და მეწყრულ-ღვარცოფული პროცესების ჩასახვა-გააქტიურება გამოიწვიოს, – აცხადებენ სააგენტოში.

# ფართოვდება უფასო მედიკამენტების პროგრამა, რომელიც 60-მდე დასახელების მედიკამენტს მოიცავს

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალურის დაცვის მინისტრის განცხადებით, უფასო მედიკამენტების პროგრამის გაფართოება იგეგმება.

მისი თქმით, 60-მდე დასახელების მედიკამენტი წლის ბოლოსთვის კონკრეტული ჯგუფებისთვის უკვე ხელმისაწვდომი იქნება.

– სექტემბერში უკვე მოხდა გაფართოება, როცა სოციალურად დაუცველების ჩამონათვალს დაემატა პენსიონერები და შშმ პირები. წლის ბოლომდე მოხდება მედიკამენტების ჩამონათვალის გაფართოება. მოსარგებლეების ჯგუფები, სავარაუდოდ, იგივე დარჩება, თუმცა ძირითადი მიმართულება იქნება დამატებით 23-დან 30-მდე მედიკამენტი და, საბოლოო ჯამში, 60 დასახელების მედიკამენტი, – განაცხადა სერგეენკომ.


# განცხადებები

### სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

### ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# გიორგი ჭიაბრიშვილი: „ჩემპიონთა ლიგაზე საბურთალო კი არა, ქვეყანა უნდა წარმოვაჩინოთ“



საბურთალომ პირველად მხოლოდ 3 წლის წინ ითამაშა ეროვნულ ლიგაში. კლუბს საკუთარი აკადემია აქვს. შედეგად, ზრდის ფეხბურთელებს და ასაკობრივ ნაკრებებს აწვდის... არც საზღვრებს გარეთ საბურთალოს აღზრდილების გადინებაა უცხო.

საბურთალო წელს თითქმის პირველივე ტურიდან ლიდერობდა და საქმეც ბოლომდე დამაჯერებლად მიიყვანა. კლუბის მწვრთნელი 39 წლის გიორგი ჭიაბრიშვილია, რომელმაც 2012 წელს ზესტაფონიც გააჩემპიონა. ეს კი უკვე ჭიაბრიშვილის მეორე ტიტულია.

***– როგორი იყო თქვენი ემოციები? მეორედ გახდით საქართველოს ჩემპიონი.***

– 6 წლის წინანდელს რომ შევადაროთ, არ გამოვა. მაშინდელმა ფედერაციამ თავიდან რუსთავის მეტალურგი გამოაცხადა ჩემპიონად, ზესტაფონი კი მეორეზე დარჩა. თუმცა რეგლამენტში არსებული პუნქტის მიხედვით, მოგვიანებით ადგილები შეიცვალა: ჩემპიონად ზესტაფონი გამოაცხადეს. ასე რომ, მაშინ პირველი დღის ცხელცხელი ემოცია, ფაქტობრივად, გამოვტოვეთ. ახლა კი სულ სხვა ემოცია იყო, თანაც, 3 ტურით ადრე რომ გახდები... რა გითხრათ, ძალიან ბედნიერი ვარ.

***– რომელი იყო საკვანძო მომენტი ჩემპიონატის განმავლობაში?***

– თავიდანვე კარგად დავიწყეთ და მაშინ ბევრი ფიქრობდა, საბურთალოს ლიდერობა დროებითია, შემთხვევითობააო. დრო გადიოდა და წამყვან გუნდებს ვუგებდით. მერე კი მეტოქეები გაფრთხილდნენ, ესე იგი, მთლად შემთხვევითობაც არ ყოფილა. აი, როცა საკმაოდ წინ ვიყავით და იმ დროს დინამოსთან და ტორპედოსთან მოვიგეთ, სწორედ ეს იყო საკვანძო მომენტი.

***– ჩანს, რომ საბურთალო შეკრული გუნდია და კონკრეტულად ერთ-ორ ფეხბურთელზე არ არის დამოკიდებული. ეს რამდენად ამსუბუქებს მწვრთნელის მუშაობას?***

– გეთანხმებით და ფეხბურთელების გამორჩევა არც მე მინდა. ჩვენ სეზონის წინ ლიდერი დაგვაკლდა – გიორგი ხარაიშვილი გიოტებორგში გადავიდა, მას მერე კი ყველამ იტვირთა ლიდერობა. მწვრთნელისთვის ეს ფუფუნებაა.

***– ყველაზე მეტად როდის გაუჭირდა საბურთალოს?***

– მესამე წრეში ტრავმიანობამ იმატა და შედარებით თამაშის ხარისხმაც იკლო.

***– გაისად საბურთალო პირველად გავა ევროტურნირებზე და თანაც, ჩემპიონთა ლიგაზე. ალბათ, შემადგენლობაც უკეთესობისკენ შეიცვლება.***

– გუნდი, როგორც მექანიზმი, ხშირად იცვლება და ამჯერადაც ასე იქნება. ზოგი ფეხბურთელი დაგვტოვებს, მათ ნაცვლად სხვები მოვლენ და აუცილებლად გაკეთდება უფრო მეტი აქცენტი ლეგიონერებზე. ჩვენ უკვე არა მხოლოდ ქალაქი, არამედ, მთელი ქვეყანა უნდა წარმოვადგინოთ. ევროტურნირები სხვა დონეა.

# ილიას ზუროსმა ესტონეთში 12 კალათბურთელი იახლა

დღეს საქართველოს საკალათბურთო ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ესტონეთს ეთამაშება. მართალია, ჩვენებს პლანეტის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე მოხვედრის შანსი დაკარგული აქვთ, მაგრამ საქმეში სანახავია უახლოესი რეზერვი, რის შემდეგაც შევხედავთ, რა ბედი გველის მომავალში.

ესტონეთის ნაკრები ჯგუფის აუტსაიდერია, თუმცა გამარჯვების შემთხვევაში საქართველოს უთანაბრდება და, შესაბამისად, ამ მატჩის მოსაგებად ყველაფერს ილონებს.

ესტონელებთან მატჩისთვის ილიას ზუროსი გუნდი 23 ნოემბრიდან თბილისის ოლიმპიურ სასახლეში ემზადებოდა. ჩვენს ნაკრებს მომავალ მატჩებში ვერ დაეხმარებიან ევროლიგაში მოასპარეზე ესპანური ბასკონიის წევრები – თორნიკე შენგელია და მეტ ჯენინგი. ნატურალიზებული მოთამაშისთვის გამოყოფილ ადგილს კი თად მაკფადენი შეავსებს, რომელიც ესპანეთის უმაღლეს დივიზიონში შედეგიანობით ერთ-ერთი ლიდერია. ის ტენერიფეს ღირსებას იცავს და თითქმის ყველა შეხვედრაში საუკეთესო მოთამაშის ტიტულს ეუფლება.

ესტონეთში გამგზავრების წინ ნაკრებმა ოლიმპიურ სასახლეში ბოლო ვარჯიში გამართა, რომლის დასკვნითი ნაწილიც ჟურნალისტებისთვის ღია იყო. ბერძენმა სპეციალისტმა ვარჯიშის შემდეგ ის 12 მოთამაშე დაასახელა, რომლებიც ტალინში გაემგზავრებიან.

**ზუროსის 12 რჩეული ასეთია:**

გიორგი ცინცაძე, თად მაკფადენი, რატი ანდრონიკაშვილი, დუდა სანაძე, მერაბ ბოქოლიშვილი, რევაზ როგავა, ლევან ფაცაცია, მიხეილ ბერიშვილი, ბექა ბურჯანაძე, ილია ლონდარიძე, გიორგი შერმადინი, გოგა ბითაძე.

## შედეგები

**28 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

| | |
|---|---|
| ლოკომოტივი-გალათასარაი | 2:0 |
| ატლეტიკო-მონაკო | 2:0 |
| პსვ-ბარსელონა | 1:2 |
| პსჟ-ლივერპული | 2:1 |
| პორტუ-შალკე | 3:1 |
| დორტმუნდი-ბრიუგე | 0:0 |
| ტოტენჰემი-ინტერი | 1:0 |
| ნაპოლი-ცრვენა ზვეზდა | 3:1 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

| | |
|---|---|
| ასტონ ვილა-ნოტინგემი | 5:5 |
| იფსვიჩი-ბრისტოლი | 2:3 |
| მილუოლი-ბირმინგემი | 0:2 |
| სუონსი-ვესტ ბრომვიჩი | 1:2 |
| უიგანი-ბლექბერნი | 3:1 |
| სტოკი-დერბი | 2:1 |

**ესპანეთი. სამეფო თასი**

| | |
|---|---|
| ბილბაო-უესკა | 4:0 |

# საქართველოს ნაკრები რეიტინგში დაწინაურდა



ფიფამ ნოემბრის რეიტინგი გამოაქვეყნა და საქართველოს ნაკრები, რომელმაც წარმატებით იასპარეზა უეფას ერთა ლიგაში, ოქტომბერთან შედარებით 3 საფეხურით დაწინაურდა. ვლადიმირ ვაისის გუნდს ამჟამად 1.269 ქულა აქვს და 89-ე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს ნაკრები 90-ეულში 2013 წლის მარტის შემდეგ აღარ ყოფილა.

შეგახსენებთ, რომ ვლადიმირ ვაისის გუნდმა ნოემბერში, უეფას ერთა ლიგაზე 2 მატჩი ჩაატარა: 15-ში სტუმრად ანდორასთან ფრედ 1:1 ითამაშა, 19-ში კი თბილისში გამართულ დასკვნით მატჩში ყაზახეთი დაამარცხა (2:1) და ლიგაში დაწინაურებასთან ერთად, ტურნირის ნახევარფინალში თამაშის უფლება მოიპოვა, რაც ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრისკენ წინგადადგმული ნაბიჯია.

განახლებულ რეიტინგში 76-ე პოზიცია უკავია ერთა ლიგის ნახევარფინალში საქართველოს მომავალ მეტოქე ბელარუსს. ფლეი ოფში ასევე გასულია მაკედონია, რომელიც 68-ე პოზიციაზეა, ხოლო კიდევ ერთი პოტენციური მეტოქე კოსოვო – 131-ზე.

რაც შეეხება ფიფას რეიტინგის საუკეთესო ათეულს, წინა თვესთან შედარებით, აქ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდარა, ერთადერთი პორტუგალიამ (მე-6 ადგილი) და ურუგვაიმ (7) ადგილები გაცვალეს.

რეიტინგის ლიდერი კვლავაც ბელგიაა, მეორე კი მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი საფრანგეთია.

**ფიფას რეიტინგის საუკეთესო ათეული ასე გამოიყურება:**

1.ბელგია – 1.727 ქულა; 2.საფრანგეთი – 1.726; 3.ბრაზილია – 1.676; 4.ხორვატია – 1.634; 5.ინგლისი – 1.631; 6.პორტუგალია – 1.614; 7.ურუგვაი – 1.609; 8.შვეიცარია – 1.599; 9.ესპანეთი – 1.591; 10.დანია – 1.589.

# ჩემპიონთა ლიგაზე გასარკვევი ორი მერვედფინალისტი დარჩა



## ა ჯგუფი

### ატლეტიკო-მონაკო 2:0

**მადრიდი. მეტროპოლიტანო**

**1:0 კოკე (2), 2:0 გრიზმანი (24)**

83-ე წუთზე რადამელ ფალკაომ (მონაკო) ვერ გაიტანა პენალტი

მიუხედავად საფრანგეთის ჩემპიონატის ბოლო ტურში მოპოვებული გამარჯვებისა, ძნელად თუ ვინმე წარმოიდგენდა, რომ მონაკო ამ მატჩში რამეს გააწყობდა. და თუ რამე გეგმა ჰქონდა მონაკოს, უკვე მე-2 წუთზე დაიმსხვრა, როდესაც კოკემ ანგარიში გახსნა. მონეგასკები ასეთ დასაწყისზე არც ფიქრობდნენ, ამიტომ აირივნენ და მადრიდელებმა მთელი ტაიმის განმავლობაში გასაქანი არ მისცეს. მეტიც, გრიზმანმა მეორეც შეაგდო და მატჩის ბედი გადაწყვიტა.

83-ე წუთზე მადრიდელთა კარში დანიშნულ პენალტსაც არ შეეძლო მატჩზე გავლენის მოხდენა, თუმცა, ფალკაომ ისიც ვერ გაიტანა.

მადრიდელებს ჯგუფიდან პირველი ადგილით სურთ გასვლა და მიზანს უფრო მიუახლოვდნენ.

### დორტმუნდი-ბრიუგე 0:0

**დორტმუნდი. სიგნალ იდუნა პარკი**

ბრიუგემ ისევ შეუქმნა პრობლემები დორტმუნდს. მეტიც, ამჯერად ქულა წაიღო გერმანიიდან, რითიც ევროპის ლიგაზე თამაში გაინაღდა. დორტმუნდს კი რთული ბრძოლა მოუწევს ჯგუფში პირველი ადგილის დასაკავებლად. ისე კი, ფლეი ოფშია და ამ მხრივ არანაირი საფრთხე არ ემუქრება.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ატლეტიკო | 5 | 4 | 0 | 1 | 9:6 | 12 |
| 2.დორტმუნდი | 5 | 3 | 1 | 1 | 8:2 | 10 |
| 3.ბრიუგე | 5 | 1 | 2 | 2 | 6:5 | 5 |
| 4.მონაკო | 5 | 0 | 1 | 4 | 2:12 | 1 |

## ბ ჯგუფი

### ტოტენჰემი-ინტერი 1:0

**ლონდონი. უემბლი**

**1:0 ერიკსენი (80)**

ამ ჯგუფში მერვედფინალის მეორე საგზურის მფლობელი ბოლო ტურში გაირკვევა. ლონდონელებმა ზედიზედ მე-2 მატჩი მოიგეს და ხასიათი გამოიკეთეს. ეს შანსი მასპინძლებს კრისტიან ერიკსენმა დაუტოვა, რომელმაც თამაშის ბოლოსკენ გაიტანა გადამწყვეტი ბურთი.

თუმცა, ტოტენჰემის ბედი მაინც ბუნდოვანია – ბოლო ტურში დეზები ბარსელონას ეწვევიან და უსათუოდ სჭირდებათ გამარჯვება, ხოლო ინტერი საკუთარ მოედანზე პსვ-ს მიიღებს.

### პსვ-ბარსელონა 1:2

**ეინდჰოვენი. ფილიპსი**

**0:1 მესი (61), 0:2 პიკე (70), 1:2 დე იონგი (83)**

თუ პრიმერაში ბარსელონას საქმეები არცთუ კარგად მისდის და ბოლო დროს ქულების დაკარგვას უხშირა, ჩემპიონთა ლიგაზე სულ სხვა გუნდია და უპრობლემოდ იგებს ყველაფერს. ეინდჰოვენში ბარსამ მე-4 მატჩი მოიგო.

თამაში კი სანახაობრივი გამოდგა – ორივე გუნდმა ასიამოვნა გულშემატკივარი. შეტევაში მართლაც კარგად გამოიყურებოდნენ, მაგრამ დაცვაში ხშირი იყო შეცდომები. ორივე გუნდმა კარისკენ 43 დარტყმა განახორციელა.

საბოლოოდ, კატალონიელებმა მოიგეს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 13 |
| 2.ტოტენჰემი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:9 | 7 |
| 3.ინტერი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 |
| 4.პსვ | 5 | 0 | 1 | 4 | 5:12 | 1 |

## ც ჯგუფი

### პსჟ-ლივერპული 2:1

**პარიზი. პარკ დე პრენსი**

**1:0 ბერნატი (13), 2:0 ნეიმარი (37), 2:1 მილნერი (45პ)**

ჯგუფში გუნდები მჭიდროდ არიან განლაგებული და ყოველი ტურის შემდეგ სიტუაცია კარდინალურად იცვლება. გრანდების სამეულიდან, ამ ტურამდე პსჟ იყო აუტსაიდერი, ამჯერად კი მთავარ ფავორიტად იქცა და ახლა მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული. საკმარისია, ფრანგებმა სტუმრად ცრვენა ზვეზდა დაამარცხონ, რომ ფლეი ოფი გარანტირებული აქვთ.

ლივერპული კი ნაპოლისთან ეცდება ურთიერთობის გარკვევას. არადა, საფრანგეთიდან თუნდაც ქულა რომ წაეღო, გაცილებით სახარბიელო სიტუაციაში იქნებოდა.

რაც შეეხება მატჩს, პსჟ უკეთ გამოიყურებოდა, განსაკუთრებით – პირველ ტაიმში. პარიზელებმა მეტი მომენტი შექმნეს მეტოქის კართან და მეტიც გამოიყენეს.

### ნაპოლი-ცრვენა ზვეზდა 3:1

**ნეაპოლი. სან პაოლო**

**1:0 ჰამშიკი (11), 2:0, 3:0 მერტენსი (33, 52), 3:1 ბენ-ნაბუანი (57)**

ნაპოლიმ დამაჯერებლად მოიგო და ჯგუფში ლიდერობა შეინარჩუნა. თუმცა, ფლეი ოფში გასვლა ბეწვის ხიდზე კიდია.

„მასპინძლებმა სან პაოლოს სტადიონზე თავიდან შტურმი მოაწყვეს და უკვე მე-11 წუთზე მარეკ ჰამშიკის გოლით იგებდნენ. შემდეგ დრის მერტენსის რიგი დადგა – ბელგიელმა დუბლი შეასრულა. მართალია, სერბებმა ერთი გოლის გაქვითვა მოახერხეს, მაგრამ მათი მაქსიმუმი სულ ეს იყო.

ნაპოლი შარშია – ბოლო ტურში ლივერპულს ესტუმრება და არ უნდა წააგოს. ან 1 ბურთით უნდა წააგოს, ოღონდ თავად უნდა გაიტანოს.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 5 | 2 | 3 | 0 | 7:4 | 9 |
| 2.პსჟ | 5 | 2 | 2 | 1 | 13:8 | 8 |
| 3.ლივერპული | 5 | 2 | 0 | 3 | 8:7 | 6 |
| 4.ცრვენა ზვეზდა | 5 | 1 | 1 | 3 | 4:13 | 4 |

## დ ჯგუფი

### ლოკომოტივი-გალათასარაი 2:0

**მოსკოვი-ჩერქიზოვო**

**1:0 დონკი (43სკ), 2:0 იგნატიევი (54)**

როგორც იქნა, მოსკოვის ლოკომოტივმა მოიგო და საბა კვირკველიას გუნდმა ევროპის ლიგაზე თამაშის შანსი შეინარჩუნა.

რკინიგზელები მთელი მატჩის განმავლობაში მეტოქეზე უკეთ გამოიყურებოდნენ და დამსახურებულად გაიმარჯვეს. დანარჩენი თავად უნდა გადაწყვიტონ ბოლო ტურში – მოიგებენ სტუმრად უმოტივაციო შალკესთან? ევროპალიგა გარანტირებულია.

### პორტუ-შალკე 3:1

**პორტუ. დრაგაუ**

**1:0 მილიტაო (52), 2:0 კორონა (55), 2:1 ბენტალები (89პ), 3:1 მარეგა (90)**

მოედანზე გასვლამდე ორივე გუნდმა იცოდა ლოკომოტივი-გალათასარაის მატჩის შედეგი, ამიტომაც აუღელვებლად შეაბიჯეს მინდორზე – პორტუცა და შალკეც ფლეი ოფში მარტივად გავიდნენ. ამიტომაც იყო, რომ თამაში უფრო ღია იყო და ფეხბურთელებს ბურთის გორებაში პრობლემა არ შეჰქმნიათ. საბოლოოდ, იმარჯვა იმ გუნდმა, რომელმაც მომენტები კარგად გამოიყენა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პორტუ | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| 2.შალკე | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 8 |
| 3.გალათასარაი | 5 | 1 | 1 | 3 | 3:5 | 4 |
| 4.ლოკომოტივი | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | 3 |

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

# დედა-შვილი ავარიაში მოყვა და უვნებელი გადარჩა

ინდოეთში ბავშვთან ერთად მიმავალ დედას მანქანა დაეჯახა, თუმცა მათ რაიმე სერიოზული დაზიანება არ მიუღიათ. ამ ინციდენტის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა ბრიტანულმა გამოცემამ გამოაქვეყნა.



ინციდენტი ქვეყნის სამხრეთში, ტამილნადის შტატის დხარმაპურის ოლქში მოხდა. ქუჩის სათვალთვალო კამერამ დააფიქსირა, თუ როგორ დაეჯახა ავტომობილი დედასა და შვილს, რომლებიც ხელიხელჩაკიდებულები მიდიოდნენ. როგორც ჩანს, მათ უკან მომავალი მანქანის ხმა არ გაუგიათ.

ქალი მანქანის კაპოტზე ავარდა და გადავარდა, ხოლო ბავშვი მანქანიდან მარჯვნივ გადავარდა, მისმა ბორბლებმა კი მას ფეხებზე გადაუარა. ბავშვმა ფეხზე წამოდგომა მოახერხა, ხოლო მასთან მიჭრილმა მამაკაცმა ის ხელში აიტაცა. მომხდარის თვითმხილველები ბავშვის დედასთან მიცვივდნენ.

დაშავებულები დაუყოვნებლივ გადაიყვანეს საავადმყოფოში. მათ აუცილებელი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. ექიმების თქმით, მათ სერიოზული დაზიანებები არ მიუღიათ.

# მშიერი გიენების ხროვა ლომს თავს დაესხა

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის კრიუგერის ეროვნულ პარკში ტურისტი ქალი ლომზე გიენების თავდასხმის თვითმხილველი გახდა.



ცხოველების დაპირისპირება 19 წლის სტუდენტმა ემბერ სოამსმა ვიდეოზე გადაიღო, რომელმაც კაფეში ყოფნის დროს გაიგო, რომ შორიახლო ანტილოპა გნუ იყო მოკლული. ის სასწრაფოდ შემთხვევის ადგილისკენ გაემგზავრა და დაინახა, თუ როგორ იბრძოდნენ ნადავლისთვის ლომი და გიენები.

– გარკვეული დროის განმავლობაში თვალს ვადევნებდი გიენას, რომელსაც პირით ანტილოპის ფეხი ეჭირა და მირბოდა. ნანადირევით მალე მისი თანამოძმეებიც დაინტერესდნენ. სიამოვნებით ვუყურებდი მათ ჩხუბს, როდესაც დავინახე, რომ იქ ლომი გამოჩნდა ანტილოპის შესაჭმელად, – განაცხადა სოამსმა.

მალე გიენებმა ნელ-ნელა ლომთან მიახლოება დაიწყეს და ულრენდნენ. ისინი სათითაოდ ახტებოდნენ ლომს და ზურგზე კბენდნენ. მტაცებელი მათ მოგერიებას ცდილობდა, მაგრამ გიენები მას რიცხოვნობით სჯობნიდნენ.

ხმაური ოდნავ მოშორებით მყოფმა ლომის თანამოძმეებმა გაიგეს. მათ მასთან მიირბინეს და გიენებისგან დაიცვეს. ამის შემდეგ ისინი თავიანთ ძველ ადგილს დასასვენებლად მიუბრუნდნენ, ხოლო გიენები გაიქცნენ.

# ქალს დაავადებული თირკმლის ნაცვლად კიბოიანი თირკმელი გადაუნერგეს



შოტლანდიის მცხოვრებ ქალბატონს პაულინა ჰანტს კიბოს დიაგნოზი მას შემდეგ დაუსვეს, როდესაც მან თირკმელიც ტრანსპლანტაციის ოპერაცია გადაიტანა.

49 წლის ქალს აცნობეს, რომ მას მუცლის არეში კიბო და ლიმფომა აქვს. მანამდე სხვა პაციენტი, რომელმაც იმავე დონორისგან ღვიძლი მიიღო, გადანერგვის ოპერაციიდან რამდენიმე კვირაში გარდაიცვალა.

– მითხრეს, რომ ქიმიოთერაპიისთვის მეტისმეტად სუსტად ვარ. კიბოს გამო ახლობელი ადამიანები დავკარგე და უკვე ვიცი, რაც მელოდება, – განაცხადა ჰანტმა.

ექიმები, რომლებმაც ტრანსპლანტაციის ოპერაცია ჩაატარეს, ირწმუნებიან, რომ გადასანერგმა ორგანომ ყველა აუცილებელი შემოწმება გაიარა. ამის მიუხედავად, ქალმა მომხდარის გამოძიება მოითხოვა. როგორც კი საავადმყოფოში ამის შესახებ შეიტყვეს, ქალს მაშინვე ამოაცალეს გადანერგილი თირკმელი, თუმცა ამან ვერ უშველა.

აღმოჩნდა, რომ დონორის ორგანოებში ჩაბუდებული იყო კიბოს აგრესიული ფორმა, რომელიც ჰანტის ორგანიზმში მოხვედრის შემდეგ სწრაფად გავრცელდა სხვა ორგანოებზეც.

# ბრაზილიაში მე-19 საუკუნეში დაბადებული მამაკაცი აღმოაჩინეს



ბრაზილიის ბაიას შტატის ქალაქ იტაჟუილიში ნაპოვნია მამაკაცი, რომელიც შესაძლოა 1900 წელს არის დაბადებული. თუ მისი ასაკის დამტკიცება შესაძლებელი გახდება, მას მსოფლიოს უხუცეს ადამიანად აღიარებენ.

დაბადების მოწმობის თანახმად, ჟოზე ფერეირა დოს სანტოსი 1900 წლის ნოემბერში სოფელ ბარაკანშია დაბადებული, რომლის ადგილასაც ამჟამად ქალაქი რიუ-რეალია გაშენებული. ამგვარად, ის ორი წლით არის უფროსი იაპონელ კანე ტანაკიზე, რომელიც ამ დროისთვის პლანეტის უხუცეს ადამიანად ითვლება.

ასაკის გამო უხუცეს ფეხზე დგომა და სიარული უჭირს. დროის უმეტეს ნაწილს ის ან ზის, ან წევს. პენსიაზე გასვლამდე სანტოსი 58 წელი ფერმაში მუშაობდა.

1940 წელს მან 20 წლის ლინდაურ როშედი ჟეზუსზე იქორწინა. გოგონა მასზე 20 წლის უმცროსი იყო და ცოლად მშობლების თანხმობის გარეშე გაჰყვა.

– დედა მასზე ძალიან ბრაზობდა, – განაცხადა 98 წლის ლინდაურმა.

უხუცესი მამაკაცი აღმოაჩინა ბლოგერმა, რომელმაც შემთხვევით მოისმინა მისი ისტორია. ახლა ის საბუთების შეგროვებას ცდილობს, რომელიც აუცილებელია გინესის რეკორდების წიგნისთვის წარსადგენად, რომ შემდეგ სანტოსის დაბადების თარიღი დადასტურდეს.

# კანადელმა მოკლა დათვი, რომელმაც მისი ცოლი და შვილი დახოცა

კანადაში დათვმა გრიზლიმ ქალი და მისი ათი თვის გოგონა მოკლა. ამის შემდეგ კი ის მოკლა მამაკაცმა, რომელიც ქალის მეუღლე და ბავშვის მამა იყო და ჯერ არ იცოდა მათი დაღუპვის შესახებ.



ინციდენტი იუკონის ტერიტორიის აღმოსავლეთ საზღვრის მახლობლად ტბა ეინარსონთან მოხდა. პოლიციელები ფიქრობენ, რომ 37 წლის ვალერი ტეორე ბავშვთან ერთად დაახლოებით დილის ათი საათიდან დღის სამ საათამდე სასეირნოდ გაემართა. ამ დროს მათ თავს დაესხა დათვი და ორივე დახოცა.

დაახლოებით დღის სამ საათზე ნადირობიდან სახლში ბრუნდებოდა ოჯახის უფროსი გერმუნდ რესჰოლი. მან სახლიდან 100 მეტრში მტაცებელი შენიშნა და, მისი თქმით, იძულებული გახდა, ცხოველი მოეკლა, სახლთან მისულმა კი კარის ზღურბლთან ცოლისა და შვილის ცხედრები დაინახა. მან მაშველები გამოიძახა.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ოჯახი ადამიანებისგან მოშორებით მდგომ სახლში ბოლო სამი თვის განმავლობაში ცხოვრობდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში რესჰოლი ყოველდღე სანადიროდ დადიოდა. ოჯახის მეგობარმა რემი ბოპრემ განაცხადა, რომ ოჯახურ წყვილს მიყრუებულ ადგილზე დროის გატარება უყვარდა და იქ ცხოვრებისთვის მზად იყო.

– 100 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ მათ ყველაფერი გაითვალისწინეს, რაც კი შეიძლება მომხდარიყო, თუმცა, როგორც ჩანს, ყველაფერს წინასწარ მაინც ვერ განსაზღვრავ, – დაამატა მან.

# უცნობმა დაკარგული საფულე დააბრუნა და შიგნით საკუთარი ფული ჩაამატა

აშშ-ში უცნობმა პირმა მამაკაცს დაკარგული საფულე დაუბრუნა და მასში „თანხის დასამრგვალებლად“ საკუთარი 40 დოლარი ჩაამატა.



სამხრეთ დაკოტის შტატის მცხოვრებ ჰანტერ შამეტს საფულე თვითმფრინავში დარჩა, როდესაც ნევადის შტატის ქალაქ ლას-ვეგასში დის ქორწილში მიფრინავდა. მამაკაცი უკვე დამშვიდობებული იყო თავის საფულეს, როდესაც მოულოდნელად მიიღო ამანათი, რომელშიც იდო მისი საფულე 60 დოლარი ნაღდი ფულით და 40 დოლარზე გამოწერილი ქვითრით, ასევე პატარა წერილით.

უცნობმა დაწერა, რომ თვითმფრინავში, რომლითაც თავად ნებრასკას შტატის ქალაქ ომაჰადან კოლორადოს შტატის ქალაქ დენვერში მიფრინავდა, საფულე იპოვა, რომელიც სკამებს შორის იყო ჩავარდნილი. მასში მან 60 დოლარი აღმოაჩინა და საფულის პატრონის გასახარებლად 40 დოლარის დამატება გადაწყვიტა, ხელის მოწერის მაგივრად კი მხოლოდ საკუთარი ინიციალები დაწერა.

შამეტმა ავიაკომპანიას მიმართა და მისთვის მადლობის გადასახდელად უცნობის ვინაობის დადგენა მოახერხა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ასტროპროგნოზი

## 30 ნოემბრისათვის



**ვერძი** – გრძნობების გამოვლენა სარისკოა. საღამოს საინტერესო ამბავს შეიტყობთ ან დიდი ხნის უნახავ მეგობარს შეხვდებით. **კურო** – გარშემომყოფებთან ურთიერთობისას სიფრთხილე გმართებთ. ემოციებს ნუ აჰყვებით. **ტყუპები** – ძლიერდება აურა, სასიცოცხლო პოტენციალი. შთაგონება გეწვევათ, რომელსაც ხორცს საკმაოდ იოლად შეასხამთ. **კირჩხიბი** – მატერიალური კუთხით პრობლემური დღეა. შემოსავალ-გასავალი მკაცრად აკონტროლეთ. **ლომი** – ინტიმურ სფეროში გიმართლებთ. ასევე სასარგებლო იქნება მეგობრებთან კონტაქტი და ახალი საქმის დაწყება. **ქალწული** – დაუფიქრებლობა, ნაჩქარევი გადაწყვეტილების მიღება დაგაზარალებთ. ალკოჰოლს ერიდეთ. **სასწორი** – პირად ცხოვრებაში შექმნილ პრობლემებს მარტივად მოაგვარებთ. დღეს კარგად დაისვენეთ. **ღრიანკალი** – ეს დღე უთუოდ ბავშვებსა და ოჯახის წევრებს მიუძღვენით. ხალხმრავალ ადგილებს მაქსიმალურად ერიდეთ. **მშვილდოსანი** – სასიცოცხლო პოტენციალი, თქვენი პიროვნული მომხიბვლელობა იზრდება. საკუთარი პოზიციების დაცვას იოლად მოახერხებთ. **თხის რქა** – მოულოდნელობებით აღსავსე დღეა. მთავარია, შანსი ხელიდან არ გაუშვათ. **მერწყული** – საყვარელ ადამიანს მეტი ყურადღება დაუთმეთ. თავს ბედნიერად გრძნობთ. **თევზები** – კეთილისმყოფელი ტენდენციები გრძელდება. შესაძლოა, დაგაწინაურონ კიდეც. იზრუნეთ პროფესიონალურ სრულყოფაზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სამონასტრო კომპლექსი იმერეთში; 2. მემკვიდრეობითობის მატარებელი მიკროორგანიზმი; 3. სიბერით გამოწვეული დაავადებების შემსწავლელი მედიცინის დარგი; 4. მრავალშრიანი ფანერა; 5. ოქრომჭედლის ყალიბი; 8. შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 9. სამეფო საბჭოს სხდომა ძველად საქართველოში; 12. ლირიკულ-სატრფიალო ხასიათის აზერბაიჯანული სიმღერა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 16. ბერძნული ანბანის ბოლო ასო.

**თარაზულად**: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანის სახელწოდება საფრანგეთში; 6. ბიზანტიელ ისტორიკოსთა კრებული საქართველოს შესახებ; 7. გაერთიანებული სამეფოს დედაქალაქი; 9. ქართველი თეატრალური რეჟისორი ქალი; 10. ტვირთბრუნვით ყველაზე დიდი ნავსადგური საუდის არაბეთში; 11. ვაჭრობის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 13. მდინარე რომში; 15. სათამაშო სახლი, სამორინე; 17. ამერიკული ფარმაცევტული კომპანია; 18. თბილისის მერი; 19. ფეხბურთის სახელწოდება აშშ-ში; 20. ზღვისპირა კურორტი ლიეტუვაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



# წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. უჯრედი; 2. ცემი; 3. კონტაქტი; 4. ჰერტა; 5. ცისკარი; 8. იბერია; 9. ბუტლეგერი; 12. მარულა; 14. ქართლი; 16. უბუსა.

**თარაზულად:** 1. უფლისციხე; 6. პოლონეზი; 7. რეზიუმე; 9. ბენტლი; 10. იავა; 11. არომატი; 13. ჩაქვი; 15. კაკადუ; 17. სინჯარა; 18. კულუხი; 19. იტალია; 20. კარიერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ნაპოლი; 2. ლაკი; 3. სეფედროშა; 4. ნივეა; 5. მანტისა; 8. საჰარა; 9. გალაქტიკა; 12. ავრორა; 14. ლიკანი; 16. ივერი.

**თარაზულად:** 1. ნაფტალანი; 6. კერამიკა; 7. პარსეკი; 9. გაბენი; 10. ბახი; 11. მარტელი; 13. პოლკა; 15. ავლანი; 17. გატუიკი; 18. კორიფე; 19. აფონია; 20. ლივადია.

## მეტროს მომღერალი ზაზა სავჩუკი გარდაცვლილი იპოვეს



მეტროს მომღერალი ზაზა სავჩუკი გარდაცვლილი იპოვეს. ხელოვანი თბილისის მეტროს მეორე ხაზზე – სადგურის მოედნის ბაქანზე გიტარაზე უკრავდა და მღეროდა.

იგი არაერთხელ გამხდარა სიტყვიერი თუ ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლი. თავის მძიმე ცხოვრებაზე ზაზამ „პროფილშიც" ისაუბრა.

ბოლო პერიოდში მუსიკოსი ახმეტელის მეტროს მიმდებარე ტერიტორიაზე მღეროდა.

ინფორმაცია ზაზა სავჩუკის გარდაცვალების შესახებ მომღერალმა გელა გნოლიძემ გაავრცელა:

– გარდაცვლილი ნახეს, მეტი არაფერი ვიცი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ჯენიფერ ლოპესმა რუს ჰოკეისტებს ავტოგრაფზე უარი უთხრა



ჰოკეის ნაციონალური ლიგის, ნჰლ-ის, კლუბ „ტორონტო მეიპლ ლიფსის" რუსმა მოთამაშემ იგორ ოჟიგანოვმა ამერიკელ მსახიობ და მომღერალ ჯენიფერ ლოპესთან შეხვედრის შესახებ ისაუბრა.

სპორტსმენი კალიფორნიაში თავისი გუნდის გასვლითი მატჩების (მატჩების სერია ღია მოედანზე) დროს იმყოფებოდა.

– იქ ჩვენს თანაგუნდელ ნიკიტა ზაიცევთან ერთად ატრაქციონების პარკში ვიყავით, გავერთეთ, ემოციებით ავივსეთ, მატჩზე შორტებში გამოწყობილები მივედით, ვინაიდან საკმაოდ თბილოდა, – განაცხადა საკუთარი შთაბეჭდილებების შესახებ ოჟიგანოვმა.

რესტორანში შესული რუსები კი იქ ჯენიფერ ლოპესს გადაეყარნენ და მას ავტოგრაფი სთხოვეს, მაგრამ მომღერალმა უარით გაისტუმრა. ოჟიგანოვის თქმით, მათ მსახიობისთვის საკუთარი თავი არ წარუდგენიათ და არ უთქვამთ, რომ ნჰლ-ში თამაშობდნენ.

– ჩვენ მასთან სკოლის მოსწავლეებივით მივედით. ჯენიფერმა ერთი შემოგვხედა და მოუსავლეთში გაგვიშვა, – აღნიშნა რუსმა ჰოკეისტმა.

## ავსტრალიურმა ნიანგებმა ზღვა გადაცურეს და ადამიანებს თავს დაესხნენ



აღმოსავლეთ ტიმორში ნიანგების ადამიანებზე თავდასხმები ჩვეულებრივზე 24-ჯერ გაიზარდა. ამის მიზეზი, შესაძლოა, გახდა ავსტრალიიდან რეპტილიების მიგრაცია.

ბიოლოგებმა სებასტიან ბრეკჰეინმა და გრემ უებმა გაარკვიეს, რომ 1996 წლიდან 2014 წლის ჩათვლით ნიანგები 130-ჯერ დაესხნენ თავს კუნძულის მცხოვრებლებს, ამასთან მათი უმრავლესობა ბოლო შვიდ წელზე მოდის. თუ 2007 წლამდე აღმოსავლეთ ტიმორში წელიწადში ერთ თავდასხმაზე ნაკლები ფიქსირდებოდა, ახლა უკვე მათი რაოდენობა წელიწადში საშუალოდ 14-ია.

თავდასხმების 52 შემთხვევა ადამიანის დაღუპვით დასრულდა. ამის მიუხედავად, ქვეყნის ხელისუფლება არ ჩქარობს რეპტილიების შემოსევას ბრძოლა გამოუცხადოს. საქმე ისაა, რომ ადგილობრივები ნიანგებს წმინდა ცხოველებად მიიჩნევენ და სჯერათ, რომ წესიერ ადამიანებს ისინი არ ერჩიან. აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ ტიმორის თევზის რეწვის მინისტრმა ნიანგების ბუნების მსაჯულები უწოდა. მისი თქმით, ისინი სამართლიანები არიან და ადამიანებისგან განსხვავებით, არ ცდებიან.

აღმოსავლეთ ტიმორი ინდოეთის ოკეანეში ავსტრალიასა და ინდონეზიას შორის მდებარეობს. კუნძულის ფართობი 15 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს, ხოლო მისი მოსახლეობა 1,3 მილიონ ადამიანს აღწევს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ყავის კაფსულების საწარმო ახალი წლიდან ამოქმედდება

შპს „კაფსულოს" საწარმო, რომელიც ყავის კაფსულებსა და სხვადასხვა სახის ყავის პროდუქტს დაამზადებს, თბილისში ახალი წლიდან ამოქმედდება, ამის შესახებ Bm.ge-ს კომპანიის დირექტორმა თორნიკე ჭელიძემ განუცხადა. მისი განმარტებით, სამშენებლო სამუშაოები თითქმის დასრულებულია.

– დასრულებულია გარე ფასადი, ასევე საწარმოს შიდა ტერიტორიის მოწყობა და დანადგარებით აღჭურვა, საჭიროა გარკვეული კოსმეტიკური სამუშაოები, რაც ერთ თვეში დამთავრდება. საწარმოო ხაზები გამართულია, იქ ხუთი ტიპის პროდუქტის წარმოება უკვე შესაძლებელი, – აცხადებს თორნიკე ჭელიძე.

შპს „კაფსულო" წარმოებას მალე დაიწყებს და თავდაპირველად სამი სახის პროდუქტს შესთავაზებს ბაზარს. ეს იქნება ყავის კაფსულები, რომელიც ყავის აპარატებისთვის იქნება განკუთვნილი, ე.წ. თურქული ყავა, რომელიც ერთჯერად პაკეტებით გამოვა და ყავის მარცვლები, რომელიც 250-გრამიანი და 1-კილოგრამიანი შეფუთვით დამზადდება. ეს უკანასკნელი ძირითადად ჰორეკას ქსელისთვის იქნება განკუთვნილი. სამომავლოდ ასორტიმენტს კიდევ ორი სახეობის პროდუქტი დაემატება, რაზეც კომპანიაში მუშაობა უკვე დაწყებულია.

– ყავის მარცვლებს მსოფლიოს წამყვანი მომწოდებლებისგან შევიძენთ, ასეთი 5-6 კომპანიაა, რომელთანაც ურთიერთობა გვაქვს, მათ ყავის მარცვალი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოაქვთ და სამ ევროპულ ქალაქში ასაწყობებენ: ტრიესტაში (იტალიაში), ჰამბურგსა (გერმანიაში) და ანტვერპენში (ბელგიაში), საქართველოში ყავის იმპორტი სწორედ აქედან მოხდება.

რაც შეეხება ფასებს, ამჟამად მიმდინარეობს ბაზრის შესწავლა, გვინდა, რომ კაფსულები მომხმარებლისთვის მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყოს. თავდაპირველად მის გაყიდვას თბილისში ვგეგმავთ, რამდენიმე თვეში პროდუქციას რეგიონებშიც შევიტანთ, დაახლოებით წელიწად-ნახევარში კი ექსპორტსაც განვახორციელებთ. თავდაპირველად მეზობელ ქვეყნებზე ვაკეთებთ გათვლას, ესაა – უკრაინა, რუსეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი, ყაზახეთი, შემდეგ კი ევროპულ ბაზარსაც ავითვისებთ. ამისთვის საწარმოო სიმძლავრეები თავისუფლად გვეყოფა, – განაცხადა თორნიკე ჭელიძემ.

მისი განმარტებით, კომპანიას დღეში 192 ათასი ყავის კაფსულის წარმოება შეუძლია, თუმცა, თავდაპირველად სიმძლავრის მხოლოდ 20%-ს აითვისებენ, რითაც თბილისის ბაზარს დააკმაყოფილებენ, შემდეგ კი სხვა ბაზრების მოძიების პარალელურად, წარმოების მოცულობებიც გაიზრდება.

– საცალო მიმართულებით ჩვენი პროდუქციის რეალიზაცია თავდაპირველად ონლაინპლატფორმით მოხდება, რადგან კაფსულები არ იქნება განთავსებული ყველა სუპერმარკეტში, ძირითადად ისეთ მსხვილ ობიექტებთან ვითანამშრომლებთ, როგორებიც „გუდვილი" და „კარფურია". კომპანია ასევე გეგმავს კაფეების ქსელისა და საფირმო მაღაზიების გახსნას, რაც ეტაპობრივად განხორციელდება, – განაცხადა თორნიკე ჭელიძემ.

შპს „კაფსულო" კახეთის გზატკეცილზე მდებარეობს, საწარმოში დღემდე 30 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიციაა ჩადებული, კომპანია პროექტის „აწარმოე საქართველოში" ბენეფიციარია. თავდაპირველად საწარმოში 40 ადამიანი დასაქმდება, მომავალი წლის ბოლომდე კი მათი რიცხვი ორჯერ გაიზრდება.

**bm.ge**

## დავით არჩვაძე მისი სიმღერის სალომე ზურაბიშვილის სარეკლამო კლიპში გამოყენებას აპროტესტებს

კომპოზიტორი და მომღერალი დავით არჩვაძე მისი ერთ-ერთი უახლესი სიმღერის „ფრთამოტეხილი მაფშალიას" სალომე ზურაბიშვილის სარეკლამო კლიპში გამოყენებას აპროტესტებს.

**დავით არჩვაძე:**

– მიყვარს ჩემი ქვეყანა, მიყვარს ჩემი ხალხი. მთელი ცხოვრება ჩემი ქვეყნისა და ხალხის სამსახურში ვარ ჩემი მოკრძალებული ხელოვნებით. ვინც მე მიცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ ყველაზე აპოლიტიკური ადამიანი ვარ. არ არის ჩემი საქმე ბიზნესი, სისხლის სამართალი, ცეკვა და კალათბურთი, ჩემი სამყარო მხოლოდ მუსიკაა.

რაც შეეხება კონკრეტულად ამ სიმღერას, მუსიკა მე მეკუთვნის, რომელიც დაკარგული აფხაზეთის ტკივილმა დამაწერინა და ვერასოდეს ვიფიქრებდი, რომ პოლიტიკური ნიშნით შემოიფარგლებოდა.

მიხარია, ხალხს რომ მოსწონს ეს სიმღერა, მაგრამ უფრო მეტად გამიხარდებოდა, ვინმეს უბრალოდ ეკითხა ჩემთვის, რომ ეს მუსიკა საარჩევნო რეკლამისთვის გამოეყენებინათ.



დავით არჩვაძის განცხადებას სიმღერის ტექსტის ავტორი მამა პეტრე (კვარაცხელია) გამოეხმაურა:

– გამოიყენონ, დავით, ნეტავ ჩვენც გამოგვიყენონ და სიკეთე აკეთონ... არა მხოლოდ პირადი ინტერესებისთვის, არამედ ქვეყნისთვის, მომავლისთვის... ეს სიმღერა მთელ ერს ეკუთვნის. მან აფხაზეთში უნდა დაგვაბრუნოს.

## მამუკა ლომაშვილს სპექტაკლი მოუხსნეს

რეჟისორ მამუკა ლომაშვილს ათონელის თეატრში პირველ დეკემბერს დანიშნული სპექტაკლი მოუხსნეს. ათონელის თეატრში დაგეგმილი სპექტაკლის მოხსნის მიზეზებზე რეჟისორმა ღიად ისაუბრა და საკუთარი უკმაყოფილება არ დამალა:



– არჩევნების პერიოდში თავს ვიკავებდი, რამე რომ არ მეთქვა, დღეს უკვე პიკია და, რადგან არჩევნებიც ჩავლილია და სასიხარულო ამბავიც ეს წუთია მაცნეს... იძულებული ვარ, ასეთი ფორმით გამოვხატო პროტესტი...

ამოვიდა ეს ამდენი ფეხზე დაკიდება... დღეს დილით მახარეს, რომ 1 დეკემბერს დანიშნული სპექტაკლი, რომლის ბილეთებიც გაყიდულია, უნდა მოიხსნას. უკვე მერამდენედ? ერთი წელზე მეტია, გაუსაძლისად ვართ და გაგებით ვეკიდებით, მაგრამ ყველაფერს საზღვარი აქვს, რა... ხომ შეიძლება, მერიაა თუ განვითარების ფონდი, ყურადღება მიაქციოთ ათონელის თეატრთან და თეატრში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს? იმის მაგივრად, რომ ხელს გვიწყობდეთ და გვერდში დაგვიდგეთ, რას აკეთებთ? საერთოდ გაინტერესებთ ეს სფერო? რას ვაკეთებთ, რა პრობლემები გვაქვს, კაი, ბატონო, რადგან სპორტი არაა, მასე იყოს.

ჯერ იყო საბავშვო თეატრალური ფესტივალი და გთხოვეთ, უამრავი ბავშვი მოიყრის თავს და იქნება ცოტა მოაწესრიგოთო... პირიქით, მაშინ გაგიჟდა ყველა, ხან ტრაქტორი დადიოდა გზაზე, ხან ბავშვები ასწრებდნენ თეატრში შესვლას, უსაფრთხოების ნორმები აბსოლუტურად არაა დაცული, არადა, ჩემი თეატრის ბავშვების გარდა, უამრავი ბავშვი დადის „თეატრი ათონელზე". ხან ფიცარი ჩამოვარდა, ხან შუშა და ხან რკინის კონსტრუქცია, რაც მე ვნახე... იმაზეც არაფერი ვთქვით, რამდენიმე რეპეტიციას ნახევრად გახსნილ კედლებში რომ ვატარებდით, მტვერში და გაჯით მოთხვრილ სცენაზე... ხელოსნებს სხვა საქმე ჰქონდათ და თეატრი ვალდებული იყო, მოეთმინა... ახლა კიდევ სულ გადაუთხრიათ იქაურობა, ჯერ ხომ ისედაც ძლივს მივდიოდით თეატრამდე, ახლა უნდა ვახტეთ ორმოებს და უბედურებებს...

მოკლედ, რაც წინა მთავრობამ დაგვაკლო, თქვენ მინაზღაურებთ. იძულებული გაგვხადა, წამოვსულიყავით ჩვენი გაკეთებული თეატრიდან, იმიტომ რომ თქვენ გიჭერდით მხარს...

**პ.ს.** ძალიან კარგია, საქმეს რომ აკეთებთ, მაგრამ ცოტა პროფესიონალიზმი და ადამიანობა გამოიჩინეთ... როდესაც ფანჯრებს ცვლი, 1 კვირა და 2 კვირა არ უნდა მოანდომო საქმეს, თეატრის შესასვლელთან ტონა ნაგავი თვეობით არ უნდა ეყაროს და უსაფრთხოების ნორმები უნდა დაიცვათ...

იმედია, ეს იქნება ბოლო შემთხვევა, როდესაც სპექტაკლის მოხსნა იქნება აუცილებელი... ყველაზე მთავარი – სულ ფეხზე ჰკიდიათ ყველაფერი, გინდა სთხოვე რამე და გინდა – არა... წესით, აქ კალაძეს უნდა ვთაგავდე, მაგრამ ვერ ვშვრები.. ახლა ამ ბავშვებს როგორ გინდა უთხრა, რომლებიც ასე არიან მომზადებული, სპექტაკლი რომ ეთამაშათ, რომ ველარ ითამაშებენ... ნუ, გაყიდულ ბილეთებსაც როგორმე დავაბრუნებთ უკან.

## ქართული ჭიდაობა მსოფლიოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შევიდა

იუნესკომ ქართული ჭიდაობა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში შეიტანა. აღნიშნული გადაწყვეტილება 29 ნოემბერს მავრიკიის ქალაქ პორტლუისში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის მთავრობათაშორისი კომიტეტის მე-13 სესიაზე იქნა მიღებული.

2014 წელს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის ინიციატივით საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ ქართულ ჭიდაობას არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მიანიჭა, 2016 წელს კი, პრემიერ-მინისტრის დადგენილებით, ქართულ ჭიდაობას ეროვნული კატეგორია განესაზღვრა. შემდგომ აღნიშნული საკითხი გადაიგზავნა იუნესკოში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში შეტანის მიზნით.

ჭიდაობა სპორტის უძველესი სახეობაა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული საქართველოში. მისი, როგორც სპორტის ეროვნული სახეობის სიძველეზე მეტყველებს „ალავერდის" კედელზე შესრულებული ჭიდაობის სცენაც. სცენაზე აღბეჭდილი პერსონაჟთა სახეები, სამოსი და მოძრაობის პლასტიკა ერთმნიშვნელოვნად მიანიშნებს ქართულ ტრადიციულ საჭიდაო ხელოვნებაზე. მსგავსი შეჯიბრება საქართველოში თან სდევდა რელიგიურ დღესასწაულებს.

ამგვარად, ქართული ჭიდაობა ჩვენი ერის იდენტობის განმსაზღვრელი და თვითმყოფადობის გამოხატულებაა.

ქართული ჭიდაობა 200-მდე ილეთსა და კონტრილეთს ითვლის; კლასიფიცირებულია ექვსი ძირითადი დარგი: ცერულები, სარმები, თეძოები, მოგვერდები, კაურები და კისრულები. მუსიკალური აკომპანემენტი ქართული ჭიდაობის ორგანული და განუყოფელი ნაწილია.

იუნესკოს კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაში უკვე შესულია ოთხი ქართული არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი: ქართული მრავალხმიანობა, ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი, ქართული ანბანის 3 სახეობის ცოცხალი კულტურა და ქართული ჭიდაობა.

ეს სასიხარულო ინფორმაცია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა ნიკა ანთიძემ გაავრცელა:

– ქართული ჭიდაობა შევიდა იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის წარმომადგენლობის ნუსხაში. გილოცავთ ყველას ამ კიდევ ერთ დიდ წარმატებას.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

**30 ნოემბრისთვის**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6611 |
| ევრო | 3.0102 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3937 |
| 100 რუსული რუბლი | 3.9914 |

**ამინდის პროგნოზი 30 ნოემბრისთვის**





## საქართველოს ისტორია პატარებისთვის 3 ნაწილად

ეს სამი წიგნი მოგვითხრობს საქართველოს გმირულ წარსულსა და დიდ მამულიშვილებზე, საარაკო ბრძოლებსა და საოცარ ამბებზე, რაც კი საქართველოს გადახდენია

**4 დეკემბრიდან**

### ნაწილი I

ამ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთა გმირი

I წიგნი მოიცავს პერიოდს ქვის ხანის ადამიანიდან ქვეყნის გაქრისტიანებამდე.




**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

**18 დეკემბრიდან**




### ნაწილი II

თამარს უამბო დედამა...

II წიგნი ასახავს ჩვენი წარსულის ოქროს ხანას, მანამდე და მის შემდგომ პერიოდს მე-17 საუკუნემდე.

**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**

**25 დეკემბრიდან**

### ნაწილი III

ბაზალეთისა ტბის ძირას...

III წიგნი მოგვითხრობს ერეკლე მეფის ზეობასა და მის შემდეგ განვითარებულ მოვლენებზე დღემდე.




**ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი**


## იუმორი

ერთი დაქალი მეორეს ეუბნება:

– ქმრის ტელეფონში ვიღაც ბ...თან მიმოწერა აღმოვაჩინე, სკანდალი, ისტერიკა მოვუწყე...

– მერე?

– მერე საგულდაგულოდ გადავამოწმე და ჩემი ძველი შეტყობინებები არ აღმოჩნდა...

•••

სომეხი კბილის ექიმთან მივიდა და ეკითხება:

– ექიმო, სიბრძნის კბილის ამოღება რა ჯდება?

– 80 დოლარი!

– და უფრო იაფად არ შეიძლება?

– ნარკოზის გარეშე 60-ად შეიძლება.

– მაინც ძვირია და კიდევ უფრო იაფად?

– ნარკოზის გარეშე და უბრალო „პლასკაგუბცით“ 40 დოლარი!

– და ოც დოლარად?

– ნუ, ნარკოზის გარეშე, უბრალო „პლასკაგუბცით“ და თუ სტუდენტი-პრაქტიკანტი გააკეთებს, მაშინ 20-ად შეიძლება.

– კარგი, ექიმო, ხვალისთვის ანუშკა ჩამიწერეთ!

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– პოეტი რომ ვიყო, ლექსს მოგიძღვნიდით, მხატვარი რომ ვიყო, თქვენს პორტრეტს დავხატავდი, მაგრამ, ვინაიდან მე მხოლოდ ავეჯის ფაბრიკის დარაჯი ვარ, მხოლოდ საწოლი შემიძლია შემოგთავაზოთ.

•••

რესტორანში კლიენტი ოფიციანტს თავისთან უხმობს და ეუბნება:

– მიდი ერთი, კონდიციონერს დაუწიე, თორემ რაღაც შემცივდა.

გადის 5 წუთი, ისევ ეძახის და ეუბნება:

– მიდი, ძმაო, კონდიციონერს აუწიე, რაღაც დაცხა...

კიდევ ხუთი წუთის მერე ოფიციანტს ისევ ეუბნება:

– კონდიციონერს დაუწიე, რა, ცივა.

ოფიციანტს შორიახლოს მჯდომმა მეორე კლიენტმა უხმო და ეკითხება:

– კი მაგრამ, ამას როგორ იტან?

– რა პრობლემაა, კონდიციონერი საერთოდ არ გვაქვს!...

•••

უფროსი მდივანს ეკითხება:

– კვირა საღამოს რას აკეთებთ?

– არაფერს, – კეკლუცად პასუხობს მდივანი.

– მაშინ ადრე დაიძინეთ, რომ ორშაბათს სამსახურში არ დააგვიანოთ!

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


## ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.






**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

**მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2**
**ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.**


## ვალვერდე: „გუნდის თამაშითა და შედეგით კმაყოფილი ვარ“

ბარსელონის მთავარმა მწვრთნელმა ერნესტო ვალვერდემ განაცხადა, რომ პსვ-სთან გუნდის თამაშითა და შედეგით კმაყოფილია და ბოლო პერიოდში ბარსელონა სტუმრად ძალიან კარგად თამაშობს.

ვალვერდეს აზრით, გუნდმა მხოლოდ დაცვაში უნდა მოუმატოს, სხვა რგოლებში ყველაფერი წესრიგშია.

– შეტევაში არასოდეს გვიჭირდა და ახლაც მოწოდების სიმაღლეზე ვართ. ჩემპიონთა ლიგაში 3 გასვლით შეხვედრაში 7 ქულა დავაგროვეთ, რაც ძალიან კარგი შედეგია. ჩვენი ერთადერთი სისუსტე დაცვაა და ამ კომპონენტზე უნდა ვიმუშაოთ, – განაცხადა ვალვერდემ.

## ნეიმარი: „ბოლომდე მზად არ ვიყავი, მაგრამ ლივერპულთან უნდა მეთამაშა“



პსჟ-ს ლიდერმა ნეიმარმა განაცხადა, რომ ის ლივერპულთან თამაშის დროს თავს ბოლომდე კარგად არ გრძნობდა, მაგრამ მოედანზე მაინც გამოვიდა, რადგან პსჟ-სთვის ლივერპულთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო:

– ვიცოდი, რომ გავიმარჯვებდით და მოედანზე აუცილებლად უნდა გამოვსულიყავი, რადგან ასე იყო საჭირო. ტრავმა ბოლომდე არ მომიშუშებია და, იმედია, მალე ტკივილები აღარ მექნება.

პსჟ-მ ლივერპული საკუთარ მოედანზე 2:1 დაამარცხა, თუმცა მერვედფინალში ადგილი პარიზელებს არ დაუზღვევიათ და ყველაფერი ბოლო ტურში გადაწყდება.

## ისკოს სოლარისთან კონფლიქტი აქვს

მადრიდის რეალის ნახევარმცველ ისკოს ახალ მთავარ მწვრთნელ სანტიაგო სოლარისთან კონფლიქტი აქვს და შესაძლოა ამის გამო ის გუნდიდან წავიდეს.

ეიბართან მატჩის დროს ისკო სოლარიმ შეცვალა, რის შემდეგაც ისკომ თავის მწვრთნელს ხელი არ ჩამოართვა და, სავარაუდოდ, ამ მიზეზის გამო ისკო რომას წინააღმდეგ მატჩის განაცხადშიც ვერ მოხვდა.

სოლარიმ განაცხადა, რომ ამას სპორტული მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ეს განცხადება დამაჯერებლად არ ჟღერს.

## რეალს კრისტიან ერიქსენის ყიდვა სურს



მადრიდის რეალი ლუკა მოდრიჩის წასვლის შემთხვევაში დანიელი ნახევარმცველის კრისტიან ერიქსენის ყიდვას აპირებს. ერიქსენი თავის პოზიციაზე ერთ-ერთი საუკეთესოა მსოფლიოში და ტოტენჰემი მის გაყიდვას არ აპირებს. ლონდონელები ერიქსენს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეელევიან, თუ რეალი მის სანაცვლოდ 250 მილიონ ევროს გადაიხდის და, ბუნებრივია, რეალი ამაზე უარს იტყვის.

ერიქსენმა ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ ტოტენჰემიდან წასვლას არ აპირებს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მიზანში ზუსტად მსროლელი; 2. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 3. ფრანგული ალუბლის ლიქიორი; 4. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 5. მსუსხავი ბალახი; 8. არგენტინის ნაკრებისა და „იუვენტუსის“ ფეხბურთელი; 9. ოსური ხაჭაპური; 12. ტკბილეული, დესერტი; 14. მთიბავთა შრომის სიმღერა ფშავ-ხევსურეთში; 16. ერთ-ერთი პირველი კინოთეატრი თბილისში.

**თარაზულად**: 1. რაიონული ცენტრი გურიაში; 6. მუსლიმანთა მარხვა; 7. ორლოპოტიანი ნიჩბებით სამართავი სპორტული ნავი; 9. ხუთგზის სტალინური პრემიის ლაურეატი ქართველი მსახიობი მამაკაცი; 10. ფულის ერთეული თურქეთში; 11. ხორვატიის დედაქალაქი; 13. მელაზე, კურდღელზე სანადიროდ გამოყენებული ბრიტანული ძაღლის ჯიში; 15. სამონასტრო კომპლექსი ახალციხის რაიონში; 17. ბუნებრივი ნაკრძალი აფხაზეთში; 18. აშშ-ის სახელმწიფო მდივანი; 19. ფარული დაცინვა; 20. ლირიკული სიმღერა.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

